# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 218 (6075)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




მეგობრობის ქალა

## რატომ გადაარჩინა რუსმა ოფიცერმა გორელის ოჯახი

9



6

დემოგრაფიულ გასაჭირზე არაერთი პრობლემური წერილი გამოქვეყნებულა. ყველა მათგანში განგაშის ზარი იყო დარისხებული და არა მარტო. ასევე მითითებული იყო ჩიხიდან გამოსვლის კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გზები, რომელთა განხორციელება დღეს ჰაერივით გვჭირდება. მაგრამ რად გინდა, ჩვენს ხელისუფალთ ყურებთან ქვემეხებიც რომ დაუგრიალო, გააგონებ თუ რა...

## ხვალ გვიან იქნება

## რას გვიამბობს ბარაკ ობამა



როგორც გპირდებოდით,ვიწყებთ ამონარიდების ბეჭდვას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას წიგნიდან „იმედის შემართება (აზრები ამერიკული ოცნების აღორძინების შესახებ)“

5



## გამოსავალი კავკასიური ჩიხიდან

8

THE WALL STREET JOURNAL

ინა გუდავაძე:

## მოგიწოდებთ, თქვენი სიტყვები საქმით დაამტკიცოთ!

2

რატომ დაითხოვა ჯოზეფ ქეიმ ჟურნალისტი სამსახურიდან?

რატომ ხდებოდნენ ჟურნალისტები თავდასხმის ობიექტები?

## „იმედის“ დარბევის შემდეგ...

3



## პატიმრის ოჯახის ხარჯზე?!

11





## რა კავშირი აქვთ კალაძეს და შევჩენკოს იუშჩენკოს მონამვლასთან?

2

ალიანსი

# ნატო რუსეთთან თანამშრომლობას წყვეტს



**როგორც ტელეკომპანია „რუსთავი-2“ იუწყება, ეს გადაწყვეტილება ვალენსიაში, ალიანსის საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე მიიღეს. მიზეზი მოსკოვის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული ოკუპაცია გახდა.**

ასამბლეამ ქართველების ეთნოწმენდის ფაქტიც აღიარა და რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობაც უკანონოდ შეაფასა.

რუსულმა დელეგაციამ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაში მონაწილეობა გააპროტესტა და ითხოვა, რომ პრეზიდენტი სიტყვით არ გამოსულიყო, მაგრამ უარი მიიღო.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებით, რუსულ დელეგაციას უფლებები შეეკვეცა და შეიქმნა საქართველო-ნატოს სამუშაო ჯგუფიც.

ვალენსიაში ნატოს საპარლამენტო ანსამბლეის სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მხრიდან განხორციელებულ აგრესიაზე, ქვეყანაში ომის შემდგომ შექმნილ პრობლემებსა და დაზარალებულების მდგომარეობაზე ისაუბრა.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, საქართველოს ერთადერთი მომავალი ევროპული მომავალია.

სხვა ალტერნატივა და მიზანი, გარდა ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისა, ჩვენ არ გაგვაჩნია. რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეთ ატლანტიკურ სტრუქტურასთან და ევროკავშირთან, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და რუსული ინტერვენციის თემასაც შეეხო.

რუსეთის სამხედრო ქმედება არ იყო საპასუხო რეაქცია საქართველოს ქმედებებზე, ეს იყო სუვერენული სახელმწიფოს ინტერვენცია. ჩვენ უნდა დაგვეცვა ჩვენი მოსახლეობა, რათა არ აღმოჩენილიყვნენ მტრის ხაფანგში; ჩვენ უნდა გვეზრუნა ქვეყნის გადარჩენაზე. რუსების სამშვიდობო ძალების მანდატს არასდროს ვაღიარებთ, მასში წარსულშიც ეჭვი გვეპარებოდა. აგვისტოს მოვლენების შემდეგ კი, ეს პოზიცია საბოლოოდ გამყარდა. არ ვაპირებთ რუსეთთან რაიმე ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნას. ჩვენ ადრეც მოვითხოვდით და ახლაც მოვითხოვთ, რომ მონიტორინგში ჩაერთონ საერთაშორისო საპოლიციო ჯარები. „ძალა ერთობაშია“, — არის ასეთი ქართული გამოთქმა, თუმცა ძალა ერთობაშია არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ — მთელი ევროპისათვის, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია



## რუსები ჩვენს საზღვრებს „ამაგრებენ“

**საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციამ საზღვრის გასამაგრებელი სამუშაოები დაიწყო, როგორც რუსული მედია იუწყება, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებისათვის მიუწვდომელ ადგილას.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდგარი რუსი სამშვიდობოებისაგან განსხვავებით, რომლებიც გაშლილ ადგილზე მოქმედებდნენ და მათ საქართველოს მხრიდან მომავალი ცეცხლისაგან თავის დაცვის საშუალება არ ჰქონდათ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ამჟამად მყოფ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ნაწილების პირადი შემადგენლობას საინჟინრო თვალსაზრისით კარგად და საიმედოდ გათვლილი თავდაცვის სისტემები აქვს, რომელიც განსაკუთრებით საიმედოდ იცავს მათ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნებისმიერი აგრესიული გამოხტომისაგან.

რუსული მედია ასევე იუწყება, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზები 2008 წლის დასასრულისათვის უკვე 30-40 პროცენტით კეთილმოწყობილი იქნება.

## შამბა სამშვიდობო კონტინგენტს აფხაზეთში არ შეუშვებს

**ქართული მხარის განზრახვა ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო კონსულტაციებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო კონტინგენტის შეყვანა მოითხოვოს, უპერსპექტივო და სრული აბსურდია, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოყვება, — აცხადებს სერგეი შამბა ქართული მხარის მოთხოვნის კომენტირებისას.**

## მოსკოვში ოსი და ინგუში სტუდენტები ერთმანეთს დაერივნენ

**რუსეთის დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი დავის შედეგად მომხდარი დანაშაულის რიცხვი გახშირდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოხდა. ოს და ინგუშ სტუდენტებს შორის დაწყებული კამათი მკვლელობით დასრულდა.**

მოსკოველი სამართალდამცველების ინფორმაციით, ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე სტუდენტი ოლეგ ჩირკიევი ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი იყო. მეორე - ინგუშეთის მკვიდრი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით არ სახელდება. აღნიშნული ინციდენტის შედეგად ოლეგ ჩირკიევი დანით მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა.



ხი-ეიჩ-ენი

ღია წერილი

# მოგიწოდებთ, თქვენი სიტყვები საქმით დაამტკიცოთ!

**ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძე საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს**

ბატონო პრეზიდენტო! სულ ცოტა ხნის წინათ, მსოფლიოში სიტყვის თავისუფლების დამცველმა ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2008 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით საქართველომ, გასულ წელთან შედარებით, 54 საფეხურით გაიუარესა პოზიცია და ახალ რეიტინგში, სადაც 173 ქვეყანაა შესული, 120-ე ადგილი დაიკავა და ისეთ ქვეყნებზე ქვემოთ აღმოჩნდა, როგორებიც არის ტაჯიკეთი, ანგოლა და უგანდა. უეჭველია, ამ ფაქტზე არცთუ მცირე გავლენა იქონია 2007 წელს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევამ. ტელეარხის იძულებითი სიჩუმე საზოგადოებამ ისე აღიქვა, როგორც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე დარტყმა.



მიმდინარე წლის დასაწყისში მოულოდნელად გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი — ჩემი მეუღლე და „იმედის“ დამფუძნებელი და მე იძულებული გავხდი, ჩემი ოჯახის ინტერესები სასამართლოებში დამეცვა.

ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ტელეიმედის“ ოჯახისათვის დაბრუნება და მისი რეპუტაციის აღდგენაა, როგორც დამოუკიდებელი და ცენზურისაგან თავისუფალი საინფორმაციო წყაროსი.

ბადრის გარდაცვალებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ „იმედი“ მოტყუებით, უკანონო და გასაიდუმლოებული გზით ჯოზეფ ქეის ხელში მოხვდა.

ტელეკომპანია „იმედი“ დიდი ხნის მანძილზე გახლდათ გათიშული, ხოლო როცა ახალი „მფლობელის“ ხელმძღვანელობით დაიწყო მაუწყებლობა, ქართული საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ობიექტურობა და დამოუკიდებლობა დაკარგა.

დღემდე საჯაროდ არ ყოფილა გაცხადებული რაიმე შეთანხმების შესახებ ქეისა და ხელისუფლებას შორის. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ქეი ნამდვილად აკონტროლებს “იმედს“, ტელეარხმა ხელისუფლებისთვის მეტად ხელსაყრელად შეწყვიტა საზოგადოების კრიტიკის ასახვა წლეულს განვითარებულ უამრავ მოვლენაზე.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქეი თავისი არაკანონიერი პრეტენზიების დასამკვიდრებლად აშკარა სიყალბეებს იყენებდა, მას ქართულმა სასამართლომ, ღია მოსმენის გარეშე, ბადრის ქონებაზე სრული კონტროლის უფლება მიანიჭა, მიუხედავად კანონიერი მემკვიდრეების პროტესტისა... ეს ფაქტი არ შეიძლება უბრალო დამთხვევად განიხილებოდეს.

ბოლოს გამართულ პრესკონფერენციაზე საჯაროდ დავადასტურეთ ჩვენი განზრახვა — დავიბრუნოთ „იმედი“. ამის შემდეგ ჩვენ მხარი დაგვიჭირა უამრავმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ საქართველოში და ისინი მოწოდებით გამოვიდნენ, რომ „იმედი“ სასწრაფოდ დაუბრუნდეს პატარკაციშვილის ოჯახს.

ჩვენ მადლიერნი ვართ ასეთი სერიოზული მხარდაჭერისათვის. ეს მოწოდებები ასახავს იმას, რომ ქართული საზოგადოება აცნობიერებს: ბადრისათვის და შემდეგ მისი ოჯახისათვის „იმედის“ წართმევა აშკარა უსამართლობაა. ეს მოწოდებები საზოგადოებრივ აზრსაც გამოხატავს იმის შესახებ, რომ დღევანდელი „იმედი“ სახელმწიფო ცენზურისაგან თავისუფალი არ არის.

უკანასკნელ დღეებში აქტიურად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „იმედი“ ოჯახს უბრუნდება. მიუხედავად ჩვენი სურვილისა, რომ ეს სიმართლე იყოს, იგი უფრო იმ დაუდასტურებელ ინფორმაციას ჰგავს, რომელიც მედიის თავისუფლების მხარდასაჭერად დაგეგმილი დემონსტრაციების წინ საზოგადოებრივი აზრის დასაწყნარებლად არის გამიზნული. სინამდვილეში, „იმედის“ საკითხი დღემდე ღიად რჩება.

ყველაფერი, რაც „იმედის“ ირგვლივ ხდება, საზოგადოებისათვის ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. მე პოლიტიკოსი არა ვარ და არც პოლიტიკური ამბიციები მაქვს, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილო გახლავართ, არ მესმოდეს, რომ „იმედის“ ბედი, მიუხედავად მთელი თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, შესაძლებელია თქვენი ჩარევის გარეშე გადაწყდეს... ასე რომ, გთხოვთ, გადადგათ ეს ნაბიჯი ახლა და ეს ღიად ქნათ.

ბატონო პრეზიდენტო! ბოლო პერიოდში თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ მხარს უჭერთ დემოკრატიული კურსის განვითარებას , რაც თავისთავად კერძო საკუთრების პატივისცემას, კანონის უზენაესობასა და, რაღა თქმა უნდა, მედიის თავისუფლებას გულისხმობს.

მოგიწოდებთ, თქვენი სიტყვები საქმით დაამტკიცოთ და უზრუნველყოთ ჩვენი საზოგადოებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტა.

საქართველო და მთელი მსოფლიო თქვენგან ამ ნაბიჯს მოელის!

პატივისცემით,
ინა გუდავაძე.

სკანდალი

# რა კავშირი აქვთ კალაძეს და შევჩენკოს იუშჩენკოს მოწამვლასთან?

**ქართველ ფეხბურთელს კახი კალაძესა და უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს უკრაინის პრეზიდენტის იუშჩენკოს მოწამვლის საქმეზე დაკითხავენ. ამის შესახებ ინფორმაციას „კომერსანტი“ ავრცელებს.**

ცნობილ უკრაინელ ფეხბურთელს ანდრეი შევჩენკოს ქვეყნის გენერალური პროკურატურა პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ჩვენების მისაცემად იბარებენ.

შევჩენკოს გარდა პროკურატურას „მილანის“ კიდევ ერთ ფეხბურთელთან — კახი კალაძესთან გასაუბრებაც სურს, რომელიც ადრე კიევის „დინამოში“ თამაშობდა. უკრაინის ნაკრების წევრმა ანდრეი გუსინმა კი საგამოძიებო ორგანოებს ჩვენება უკვე მისცა.

ჯერ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რა კავშირი აქვთ ფეხბურთელებს უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის მოწამვლასთან. შესაძლოა, საქმე ეხებოდეს მათ საერთო მეგობარს, ბიზნესმენ თამაზ ცინცაბაძეს, რომელიც იმ ვახშამს ესწრებოდა, სადაც, თითქოსდა, იუშჩენკო მოწამლეს.

შეგახსენებთ, რომ იუშჩენკოს მოწამვლასთან დაკავშირებული სკანდალი 2004 წლის სექტემბერში დაიწყო. მაშინ ქვეყნის ამჟამინდელი მეთაური პრეზიდენტობის კანდიდატი იყო.

ხი-ეიჩ-ენი





ხელისუფლება და მედია

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშის ძალიან „შავი" დეტალები...

# „იმედის" დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას შეეხებოდა, ასეთ სიტყვებს ამოიკითხავთ: „კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ჟურნალისტების მხრიდან ისმის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელებთან და არხის აღმასრულებლებთან კავშირის შედეგად, ერევიან სარედაქციო საქმიანობაში და პროგრამული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები უშუალოდ ან სხვების წაქეზებით, ფიზიკურად უსწორდებიან ჟურნალისტებს. ზოგიერთი აცხადებს, რომ რეპრესიის საშიშროების გამო, თავს არიდებს ხელისუფლების კრიტიკას საჯაროდ, ან სატელეფონო საუბრების მეშვეობითაც კი".**

### „ახალი ადამიანის" კონცეფცია ელექტრონულ მედიაში

2007 წლის მეორე ნახევარში სოზარ სუბარს „რუსთავი-2"-ის რამდენიმე ჟურნალისტმა კონფიდენციალობის დაცვის პირობით მოუთხრო მაშინდელი გენერალური დირექტორის, კობა დავარაშვილის მიერ ჩატარებული თათბირის შესახებ. გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებს წარუდგინა ე. წ. „ახალი ადამიანის" კონცეფცია. მაგალითად, ჟურნალისტს თავი უნდა შეეკავებინა კახეთში ვაზის გაჩეხვის ფაქტის გავრცელებისაგან, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდა. მსგავს ცენზურას დავარაშვილი პატრიოტული მოსაზრებით ხსნიდა და აცხადებდა, რომ არაპატრიოტი ჟურნალისტების ადგილი ტელევიზიაში არ იყო. „ი-მედიას" მფლობელობაში არსებულ მედია-საშუალებებშიც ცენზურისა და პოლიტიკური ზეწოლის გასამართლებლად იმავე არგუმენტს იყენებენ.

ასევე „რუსთავი-2"-ის ყოფილი მფლობელი ქიბარ ხალვაში ომბუდსმენთან საუბარში აცხადებს, რომ 2006 წელს „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე სწორედ პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის უფროსის გიორგი არველაძის ჩარევით გაათავისუფლეს.

მსგავსი ფაქტები ხდებოდა „ტელეიმედში", სადაც სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვის გამო, ჟურნალისტი სამსახურიდან გაათავისუფლეს. დამსაქმებელს ადვილად შეუძლია მოშალოს ჟურნალისტთან ხელშეკრულება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად. ერთადერთი შეზღუდვა, რაც დამსაქმებელს აკისრია შრომითი ხელშეკრულების კანონიერად მოსაშლელად, არის დასაქმებულისთვის ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

ამის ნათელი მაგალითია ჟურნალისტ ნონა ყანდიაშვილის საქმე.

### რატომ დაითხოვა ჯოზეფ ქეიმ ჟურნალისტი სამსახურიდან?

ნონა ყანდიაშვილი ამბობს, რომ როცა ჯოზეფ ქეი რადიო „იმედის" მფლობელი გახდა, შეხვდა მას და განიხილეს სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი. მფლობელმა საინფორმაციო სამსახურის უფროსს მოსთხოვა, „იმედით" არ გაეკეთებინათ ისეთი განცხადებები, რომ შემდეგ ქეი დაებარებინა ხელისუფლებას და უხეში ფორმით პასუხი მოეთხოვა. ყანდიაშვილი შეჰპირდა, რომ დაბალანსებული რეპორტაჟები იქნებოდა.

2008 წლის 8 მაისს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ნასროლმა ტყვიამ, დეპუტატობის კანდიდატის ზაზა გამცემლიძის შტაბის წევრი, გიორგი გამცემლიძე იმსხვერპლა. ჯოზეფ ქეის ბიზნეს-პარტნიორმა გიორგი ისაკაძემ ნონა ყანდიაშვილს მიუთითა, რომ ინფორმაცია ნეიტრალური და შერბილებული ფორმით გადაეცა. თუმცა, ამ ახალი ამბის გაშუქებით ხელისუფლება მაინც უკმაყოფილო დარჩა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ჯოზეფ ქეიმ დაიბარა ნონა ყანდიაშვილი, „იმედის" გენერალური დირექტორი ირაკლი ხეთერელი და მათ განუცხადა, რომ რეორგანიზაცია იგეგმებოდა. ასევე აუხსნა, რომ მას საქართველოში ძალიან ბევრი ბიზნესი ჰქონდა და რადიოსადგურის სარედაქციო პოლიტიკის გამო ბიზნესსაქმიანობაში პრობლემები არ სჭირდებოდა. მის მფლობელობაში არსებული მედია კი უნდა ყოფილიყო „ობიექტური პლიუსით". აქედან გამომდინარე, ნონა ყანდიაშვილი და ირაკლი ხეთერელი სამსახურიდან დაითხოვეს. გათავისუფლება მოხდა შრომის კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით. გათავისუფლებამდე უზრუნველყვეს ერთი თვის ხელფასით.

**სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჭიროა სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები, რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონი ვერ შესრულდება, თუკი ჟურნალისტთან არ იქნება დადებული გრძელვადიანი წერილობითი ხელშეკრულება. ზუსტად უნდა გაითვალისწინონ დაქირავებული ჟურნალისტის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, ხოლო უსაფუძვლო დათხოვნის გამო, მესაკუთრეს სოლიდური ფინანსური კომპენსაცია დააკისრონ.**

### რატომ ხდებოდნენ ჟურნალისტები თავდასხმის ობიექტები?

სუბარის მოხსენებაში, არა მხოლოდ მფლობელსა და დაქირავებული მედიამუშაკის დამოკიდებულებაზეა საუბარი, არამედ იმაზეც, რომ ჟურნალისტები არაერთხელ გახდნენ ოპოზიციისა თუ ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების თავდასხმის ობიექტები. მოქალაქეები აღშფოთებასა და აგრესიას გამოხატავდნენ იმ მედია საშუალებების მიმართ, რომლებიც, მათი აზრით, არაობიექტურად და მოუკერძოებლად აშუქებდნენ მათი პოლიტიკური ჯგუფის ან ლიდერის საქმიანობას.

ოპოზიციისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან აგრესიის ობიექტები ხდებოდნენ ტელეკომპანიების „რუსთავი-2-ისა" და „მზის" ჟურნალისტები, ასევე ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანებამ „ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ" მათ ბოიკოტი გამოუცხადა.

ანალოგიური ხასიათის აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ჟურნალისტების მიმართ. მათი სამიზნე გახდნენ პიროვნებები, რომლებიც აშუქებდნენ უკანასკნელ ორ არჩევნებს.

იხ. 4 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 216-217.



ვითარება

## რატომ ტარდება დევნილთა ახალი აღწერა-რეგისტრაცია?

**საქართველოში** უკვე მერამდენედ მიმდინარეობს დევნილთა აღწერა-რეგისტრაცია. ამჯერად ეს პროცესი უფრო მასშტაბურია და მასში ჩაბმულნი არიან როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტრუქტურების თანამშრომლები, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ადგენენ თუ სად რამდენი დევნილი რა პირობებში ცხოვრობს და რა საცხოვრებელი ფართი აქვთ. ოფიციალურად არავინ არ აცხადებს, თუ რატომ ტარდება ასეთი ტიპის აღწერა, მაგრამ გავრცელებული ვერსიით, ახალი წლიდან მოსალოდნელია დევნილებისთვის გარკვეულ ადგილებზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ყოველივე ამან დევნილებში გაუგებრობა, გაურკვევლობა და პესიმიზმი გააჩინა. „თუ სახლებს გვიშენებენ სად გვიშენებენ, რატომ გვიშენებენ, საბოლოოდ ხომ არ დავკარგეთ აფხაზეთი. – აცხადებენ დაბნეული დევნილები, თუმცა არც იმაში არიან დარწმუნებული, რომ მათთვის რამე აშენდება. დევნილები იმასაც ამბობენ, რომ თუ მათთვის სახლების მშენებლობაა გათვალისწინებული, უმჯობესია სახლების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია მისცენ და მერე თვითონ გადაწყვეტენ, სად მოაწყონ თავიანთი საცხოვრებელი.

დევნილთა აღწერა-რეგისტრაცია ურთულესი პროცესია, ძალიან ძნელია დაადგინო დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რადგან დევნილთა უმრავლესობა მათი ჩაწერა-რეგისტრაციის ადგილებში არ ცხოვრობს.

აგვისტოს მოვლენების შემდეგომ ძალიან გართულდა როგორც სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ დევნილთა ისე მათი თანამემამულეების ცხოვრების პირობები გალის რაიონში. დღემდე ისინი გალსა და ზუგდიდს შორის, მისვლა-მიმოსვლით, სხვადასხვა პროდუქტის გადატანა-გადმოტანით ირჩენდნენ თავს და არჩენდნენ ოჯახს. ახლა კი, გამკაცრებული რეჟიმის გამო, ეს მიმოსვლა, ანუ ე.წ. საზღვრის გადალახვა ერთ ადამიანს 60-70 ლარამდე უჯდება. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მოკალათებული აფხაზები ცალკე და რუსები ცალკე ძარცვავენ ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას, ამიტომაც ამჟამად თითქმის შეჩერებულია დევნილთა გადაადგილების პროცესი. აქედან გამომდინარე გალის რაიონში მყოფი დევნილები ვერც შემწეობის თანხებს იღებენ, რადგან ახალი მოთხოვნების შესაბამისად თითოეული დევნილი თვითონ უნდა გამოცხადდეს „სახალხო ბანკის" სალაროებში თანხების მისაღებად.

ზუგდიდში განთავსებული დევნილები ძალზე უკმაყოფილონი არიან ხელისუფლების მიმართ მათდამი უყურადღებობის გამო. „ჩვენი ცხოვრება დღითი დღე უარესდება. ის მაინც ვიცოდეთ რამდენ ხანს ვიქნებით ასეთ გაუსაძლის და გაურკვეველ ვითარებაში. არ ვახსოვართ არც აფხაზეთის და არც ცენტრალურ ხელისუფლებას. საერთოდ არა აქვთ იმის სურვილი, რომ შეგვხვდნენ და ჩვენი გასაჭირი მოისმინონ" – განაცხადა აფხაზეთის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ასე რომ, დევნილები იმის მოლოდინში არიან, თუ რა წყალობას გაიღებს ხელისუფლება მათ მიმართ. დევნილები კი მზად არიან მიიღონ ხელისუფლების ნებისმიერი შემოთავაზება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მათთვის მიუღებელ ადგილებში აშენებულ სახლებში არც შესახლდნენ.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი**

ინფორმაცია

### საელჩოების გასახსნელად ექვსი მილიონი გაითვალისწინეს

**მომავალი წლიდან საქართველოს საელჩოები კიდევ 10 ქვეყანაში გაიხსნება.**

**ამის შესახებ ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილმა 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას განაცხადა.**

**მისივე თქმით, საელჩოები გაიხსნება კანადაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ინდოეთში, ეთიოპიაში, ირლანდიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, სამხრეთ კორეასა და იუნესკოში. ამასთანავე, დაგეგმილია საკონსულოს გახსნა დუბაიში.**

**აღნიშნულ ქვეყნებში საელჩოების გასახსნელად 2009 წლის ბიუჯეტში 6 მლნ. ლარია გათვალისწინებული.**

ინტერპრესნიუსი

№ 218. ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 2008 წელი.

ხელისუფლება და მედია

(მესამე გვერდიდან)

ესენი არიან: რადიო „ჰერეთის" ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი, ტელეკომპანია „მზის" ჟურნალისტი ალეკო გაბუნია და ოპერატორი ნიკოლოზ პატარაია, რადიო „იმედის" ჟურნალისტი ნანა ფაჟავა, გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე.

ხელის შეშლის ფორმა ძალადობრივი იყო. ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიხატა ხელების გადაგრეხვაში, ხელის კვრაში, მუშტების დარტყმაში, ქვებისა შუალებამ შეგნებულად დაარღვია საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობათა პროპორციული თანასწორობის პრინციპი.

მაგალითად, „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტზე, თამარ ბალაშვილზე ოპოზიციის მხარდამჭერთა თავდასხმის შემდეგ, „რუსთავი-2"-მა და „მზემ " გაავრცელეს ერთობლივი საპროტესტო განცხადება. ეს მაუწყებლები ასევე აცხადებდნენ, რომ მათ საინფორმაციო საშუალებებს ოპოზიციის ნაწილის ბოიკოტის რეჟიმში უწევდათ მუშაობა. „რუსთავი-2"-მა და „მზემ" საარჩევნო სუბიექტებზე საეთერო დროის თანაბრად განაწილების პრობლემა არსებობდა რეგიონულ ტელეკომპანიებშიც. ეს ფაქტები არ გამორჩენია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტს თავის მოხსენებაში, სადაც მიუთითა, რომ **„ცესკოს საქმიანობა არ გამოირჩევა კოლეგიურობითა და დამოუკიდებლობით, როგორც ეს კანონით არის გარანტირებული. ცესკოს პროფესიულ შემადგენლობას ხშირად აკრიტიკებენ ხელისუფლებისკენ მიდრეკილების გამო".**

# „იმედის" დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

და ჯოხების სროლაში, დანით დაჭრაში. თავდამსხმელების პირველი სამიზნე ვიდეოკამერა იყო.

**ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ ჟურნალისტის ტენდენციურობაზე ეჭვის გამო არ შეიძლება ვინმემ შეუშალოს ხელი მას თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.**

## ვის ინტერესებს ემსახურებოდა მედია არჩევნების დროს?

ევროპის საბჭოს დემოკრატიის დაცვის კომისიის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ საარჩევნო პროცესის გაშუქების დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ ხელისუფლება ნეიტრალური უნდა იყოს, ხოლო ძირითად პოლიტიკურ ძალებს საშუალება უნდა მიეცეთ, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ქვეყნის მთავარი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.

სოზარ სუბარი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 21 მაისს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას ზოგიერთმა მედია საშუალებამ შეგნებულად დაარღვია... შეწყვიტეს ერთ-ერთი კვალიფიციური სუბიექტის — „გაერთიანებული ოპოზიცია — ეროვნული საბჭოს" საარჩევნო კამპანიის გაშუქება.

**„რუსთავი-2"-მა საინფორმაციო გამოშვებებში გაერთიანებულ ოპოზიციას დაუთმო 2 წუთი და 4 წამი, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო 35 წუთი და 38 წამი, პროგრამა „მზერამ" არც ერთი წამი არ დაუთმო გაერთიანებულ ოპოზიციას.**



ევროსაბჭოს კომიტეტი მიიჩნევდა, რომ ცესკო არ იყო მიუკერძოებელი ორგანო, მის ამოცანას არ წარმოადგენდა, შეესწავლა და რეაგირება მოეხდინა მედიაში საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების გამო. ცესკო მსგავს ქმედებაზე მაშინ რეაგირებდა, როდესაც ამით ირღვეოდა მმართველი პარტიის ინტერესები.

* * *

სახალხო დამცველმა რამდენიმე რეკომენდაციითა და წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, პროკურატურას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. შეთავაზებული ცვლილებები უკავშირდება მედიის გამჭირვალობისა და დაცვის დამატებითი მექანიზმების საკითხებს. თუმცა გაითვალისწინებენ თუ არა „სუბარის შეგონებებს" ხელისუფალნი, ამას დრო და მომავალი გვიჩვენებს.

თეა მოსია.

*P. S. როგორც ამბობენ, ცვლილებები სწორედ რომ სახალხო დამცველის აპარატში იგეგმება და შესაძლოა, სულ მალე ხელისუფლებისგან ხელდასმული ომბუდსმენი მოგვევლინოს.*

*თ. მ.*

ინფორმაცია

## დევნილებს ორასლარიანი კომპენსაციები მიეცემათ



**პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში ჩავიდა.**

**პრემიერ-მინისტრმა კოდაში ჩასახლებული დევნილები მოინახულა და მათ საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნო.**

**როგორც გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა, კოდაში ორიოდე დღის წინათ შესახლებულ დევნილებს ყველანაირი საცხოვრებელი პირობები აქვთ შექმნილი, წვრილმანი პრობლემები კი ამ დღეებში მოგვარდება. ამას გარდა, თითოეული დევნილი სახელმწიფოსაგან 200 ლარის ოდენობის ფულად დახმარებას მიიღებს იმ საჭირო ნივთების შესაძენად, რაც მათ ადგილზე არა აქვთ.**

**კოდაში შესახლებული 250 ოჯახი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა, ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ და შოუბიზნესის წარმომადგენლებმა დავით გომართელმა, ოთარ კობერიძემ და მარინა ბერიძემაც მოინახულეს.**

## საქართველოს ოცდათორმეტმა სკოლამ დევნილები შეიფარა



**32 საჯარო სკოლა რუსული ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსწავლეებისა და მასწავლებლების მისაღებად ემზადება.**

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ნოდიამ და სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი თოდუამ გუშინ სამინისტროში იმ რეგიონების საჯარო სკოლის დირექტორებს უმასპინძლეს, სადაც 3500 დევნილი მოსწავლე გადანაწილდება.**

**მცხეთის, გორის, ქარელის, დუშეთის, კასპის, ხაშურის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების 32 საჯარო სკოლის დირექტორებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს მოსწავლეების ახალ სასწავლო გარემოში ადაპტაციისთვის.**

## გალი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშეა

**გალის რაიონი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშეა. ამის შესახებ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა დალილა ხორავამ განაცხადა, რომელიც გალში ჯანდაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, მხოლოდ ბოლო 2 თვის განმავლობაში ზუგდიდის სამედიცინო დაწესებულებებს დახმარების მიზნით გალიდან 1200-მა ადამიანმა მიმართა. მათგან 100 ამ დრომდე ჰოსპიტალიზებულია.**

**— პაციენტები მიუთითებენ, რომ გალში რაიმე მედიკამენტის შეძენა შეუძლებელია. არ არსებობს დაწესებულება, სადაც მათ თუნდაც პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ. საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები სოხუმის საავადმყოფოში არ გადაჰყავთ და ზუგდიდში გადმოსვლაზეც პრობლემებს უქმნიან.**

**ადამიანები, რომლებიც ზუგდიდის სამკურნალო დაწესებულებებს მიმართავენ, სხვადასხვა სახის დაავადებებს უჩივიან, რომელთა მკურნალობა გალში პრაქტიკულად არ ხდება, — განაცხადა დალილა ხორავამ.**

ინტერპრესნიუსი და ХО-ЭЙБ-ЭНИ

ინფორმაცია

## ავტოავარიაში დაზარალებულთა ნაწილი საქართველოში გადმოიყვანეს

**ტრაპიზონში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ თურქეთის ქალაქ არჰავიში 18 ნოემბერს მომხდარი ავტოავარიის დროს დაღუპულებისა და დაზარალებულების შესახებ დეტალური ინფორმაცია გაავრცელა.**

**ავტოავარიაში დაიღუპნენ საქართველოს მოქალაქეები: ხათუნა ბახტურიძე, ფატიმა ასკეროვა, ქეთევან წიკლაური, აგრეთვე, აზერბაიჯანის მოქალაქე ვაგიფ ისმაილოვი.**

**დაზარალებულები, რომლებიც დაბრუნდნენ საქართველოში: საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე საათაშვილი, თამაზ დამენია, თამილა ცირეკიძე, ზურაბ მარგიშვილი, ჯალალ აგაევი, ელვინ ნურმამედოვი, მაგარამ იუსუფოვი, ჯალალ ფაშაევი, ირაკლი ბაღაშვილი, ქეთევან ლეკიშვილი, ასტან მუსაევი, ომარ აზიზოვი, ლევან ვალიევი, ფრიდონ სტეფნაძე, ზვიად კაკაბაძე, მაკა ადეიშვილი, თემო აშრალოვი, ნათია აშრალოვა, გიორგი სიდამონიძე, რუდენ კუტარია, ზარო მერგიშკო, მარია მამანატაქშევა, ხვიჩა ხარაიშვილი, გულშან ნამაზოვა, ილჰან მამედოვი.**



**აგრეთვე, სომხეთის მოქალაქე აზატუი ზაქარიანი; აზერბაიჯანის მოქალაქე ელმურ ახმედოვი; ისრაელის მოქალაქეები ნელი გორქციანი, მარინა გორქციანი, მარტა გორქციანი.**

**თურქეთში მკურნალობას განაგრძობენ საქართველოს მოქალაქეები ნუგზარ აშრალოვი (რიზეს სახელმწიფო კლინიკა); თამილა ქარემ ყიზი (რიზეს სახელმწიფო კლინიკა); რუსუდან კუნჭულია (ტრაპიზონის უნივერსიტეტის კლინიკა); სომხეთის მოქალაქე გაიანე კარაპეტიანი (ტრაპიზონის უნივერსიტეტის კლინიკა).**

**თურქული კომპანია „მაჰმუდ ტურის" კუთვნილი ავტობუსი, რომელმაც ავარია განიცადა, სტამბოლი-თბილისის რეისს ასრულებდა.**

ინტერპრესნიუსი

გაპუტინებული ლენინი



პირველად ქართულად

*როგორც გპირდებოდით, ვიწყებთ ამონარიდების ბეჭდვას ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას წიგნიდან – „იმედის შემართება (აზრები ამერიკული ოცნების აღორძინების შესახებ)“*

# ბარაკ ობამა

# „იმედის შემართება“

## რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

### პროლოგი

თითქმის ათი წლის წინათ პირველად ვიყრიდი კენჭს არჩევნებზე. ოცდათხუთმეტი წლისა, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უკვე ოთხი წლის განმავლობაში ვმუშაობდი. ახალი დაქორწინებული ვიყავი. და პირდაპირ თავს ვიკლავდი იმისათვის, რომ ცხოვრებაში ყველაფერი გამომეცადა. სწორედ მაშინ გათავისუფლდა ადგილი ილინოისის საკანონმდებლო კრებაში. ბევრი მეგობარი მირჩევდა, გამერისკა და მეუბნებოდა, რომ სამოქალაქო სამართლის სპეციალისტის გამოცდილებით და იმ კონტაქტებით, რაც მივიღე ამომრჩეველთა ჯგუფის აქტივში, ჩემგან საკმაოდ ღირსეული კანდიდატი გამოვიდოდა. მოვეთათბირე ცოლს და ჩავერთე წინასაარჩევნო კამპანიაში, და როგორც ნებისმიერი გამოუცდელი ამ საქმეში, ვესაუბრებოდი ყველას, ვინც მზად იყო, ჩემთვის მოესმინა. დავდიოდი კვარტალების, კლუბების შეხვედრებზე და საეკლესიო შეკრებებზე, მივდიოდი სილამაზის სალონებსა და საპარიკმახეროებში. როგორც კი თვალს მოვკრავდი ორ მეგობარს, რომლებიც ჩერდებოდნენ სადღაც კუთხეში, რომ ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ, გადავდიოდი ქუჩას და ვაძლევდი ჩემი საარჩევნო კამპანიის სარეკლამო ბუკლეტს. და სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის ერთნაირად, თუმცა სხვადასხვაგვარი ფორმულირებით, მაძლევდნენ ორ შეკითხვას: „ეს რა უცნაური სახელი გქვიათ?“ და „როგორც ჩანს, თქვენ ცუდი კაცი არ უნდა იყოთ. რა გრჯით, რომ პოლიტიკური ჭუჭყისკენ მიიწევთ?“

ასეთი შეკითხვები სულაც არ მაყენებდა ჩიხში. ამის ან ამის მსგავსი რამის შესახებ მეკითხებოდნენ ხოლმე ადრეც, როცა მე ის იყო ჩამოველი ჩიკაგოში და დავიწყე მუშაობა ღარიბ რაიონში. ამ შეკითხვებში იგრძნობოდა ერთგვარი ცინიზმი არა მხოლოდ პოლიტიკასთან, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებითაც, ყოველ შემთხვევაში საუტსაიდის იმ რაიონებში, რომელთა ინტერესების წარმოდგენასაც მე ვაპირებდი. ეს ცინიზმი იყო შეუსრულებელი დაპირებების გამო განზილების შედეგი. პასუხად ვიღიმებოდი, თავს ვუქნევდი და ვუპასუხებდი, რომ ყველაფერი კარგად მესმის, სკეპსისისთვის საფუძველი საკმარისზე მეტიცაა, მაგრამ პოლიტიკაში ყოველთვის არსებობდა სხვა ტრადიციაც: ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ეყრებოდა სამოქალაქო უფლებათა დიდებულ შენობას, ეს ტრადიცია ემყარებოდა მეტად მარტივ აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ერთმანეთთან, ერთმანეთს ვერ დაგვაშორებს ვერანაირი წინააღმდეგობა და თუ დავიწყებთ ცხოვრებას ამ რწმენის შესაბამისად, მაშინ, დაე ნუ გადავწყვეტთ ყველა პრობლემას, სამაგიეროდ მაინც ვიზამთ რაიმე მნიშვნელოვანს.

მეჩვენებოდა, რომ ასეთი სიტყვები ბევრს გადმოიყვანდა ჩემს მხარეს, თუმცა, დღეს არა ვფიქრობ, რომ წარუშლელი შთაბეჭდილება დავტოვე ჩემი მსმენელების მეხსიერებაში, მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, ვინც შეაფასა ჩემი განზრახვების სერიოზულობა და ის შეუპოვრობა, რითაც გზას ვიკვალავდი ილინოისის შტატის საკანონმდებლო კრებისკენ.

ექვის წლის შემდეგ, როცა კენჭს ვიყრიდი ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, საკუთარი თავის რწმენა შემისუსტდა.

ერთი შეხედვით, ჩემი კარიერა წარმოუდგენლად წარმატებულად ვითარდებოდა. ორი ვადის შემდეგ, რომლის დროსაც დაუღალავად ვშრომობდი უმცირესობის რიგებში, შტატის სენატში დემოკრატებმა მოიპოვეს უმრავლესობა, და მე შევძელი, გამეტანა ბევრი კანონპროექტი, დაწყებული სიკვდილით დასჯის რეფორმიდან, ილინოისში რომ იყენებდნენ, და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გაფართოებით დამთავრებული. ამას გარდა, კმაყოფილებით ვასწავლიდი ჩიკაგოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ხშირადაც გამოვდიოდი ლექციებით მთელს ქალაქში. გულდასმით ვიცავდი ჩემს დამოუკიდებლობას, შეურყვნელ სახელს და ოჯახს, ეს ყველაფერი ხომ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ფსონად იყო დადებული იმ მომენტში, როდესაც გადავწყვიტე, შევსულიყავი დიდი პოლიტიკის სამყაროში.




წლებს კი თავისი მიჰქონდათ. ბუნებრივია, მეც წლები მემატებოდა და, როგორც ნებისმიერი ადამიანი, სულ უფრო მწვავედ ვგრძნობდი, რომ ვიხდიდი საზღაურს საკუთარი შეცდომებისთვის, – ჩვეულებრივად ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევთ აზროვნების სტერეოტიპებს, მიგვაჩნია, რომ ისინი, ალბათ, მემკვიდრეობითია ან კეთილშენაძენია, მაგრამ თანდათან მათი მონები ვხდებით; როგორც დროის განმავლობაში კოჭლობისგან გვტკივდება ხოლმე თეძო. ჩემთვის ასეთი სტერეოტიპი გახდა ქრონიკული უკმაყოფილება; მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ მიდიოდა საქმეები, არ შემეძლო იმ სასიხარულო ამბების შეფასება, რომლებიც პირდაპირ ხელში მიცვივდებოდა. მიმაჩნია, რომ ეს ნაკლი – თანამედროვე ცხოვრების ნიშანია მთლიანად და კერძოდ კი ამერიკული ხასიათისა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს არსად არ ვლინდება. მთლად ცხადი არ არის, მაგრამ თავად პოლიტიკური ბრძოლა იზიდავს ასეთი ნაკლის მქონე ადამიანებს, თუ თავად იგი უწყობს ხელს მის გამოჩენას. ვილაცამ თქვა, რომ თითოეული ჩვენგანი ან ცდილობს, გაამართლოს საკუთარი მამის იმედები, ან იმეორებს მის შეცდომებს, და მეც მგონია, რომ ეს კარგად განმარტავს ჩემს საკუთარ ნაკლოვანებასაც.

როგორც არ უნდა იყოს, თავად ამ გულნაკლულობამ მიბიძგა, 2000 წლის არჩევნებში კონგრესში ადგილისთვის დემოკრატების საკანდიდატო ბრძოლაში გამომეწვია დემოკრატების კანდიდატი. ის იყო მოუფიქრებელი საქციელი და დამამარცხეს, როგორც იტყვიან, თავიდან ფეხებამდე, მაგრამ სწორედ ასეთი სახის შემთხვევებს შეუძლიათ იმ ილუზიებისგან გათავისუფლება, რომ ცხოვრება თითქოს უნდა მიდიოდეს ზუსტად შენგან განსაზღვრული გეგმის მიხედვით. წელიწადნახევრის შემდეგ, როდესაც დამარცხების ტკივილი შემისუსტდა, ვსადილობდი პიარკონსულტანტთან, რომელიც უკვე დიდი ხანია მირჩევდა, დავფიქრებულიყავი სამუშაოზე მთელი შტატის მასშტაბით. ეს იყო 2001 წლის სექტემბრის ბოლოს.

– თქვენ, რასაკვირველია, გესმით, რომ პოლიტიკური ცხოვრება ახლა ძირეულად შეიცვალა, – მითხრა მან.

– რა გაქვთ მხედველობაში? – შევეკითხე, თუმცა შესანიშნავად ვიცოდი პასუხი.

ორივემ გაზეთს დავხედეთ, ჩვენ წინ რომ იდო. მისი პირველი გვერდიდან გვიმზერდა უსამა ბინ ლადენი.

– უარესის წარმოდგენა შეუძლებელია, – თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ თავის ქნევით. – როცა არ გიმართლებს, არ გიმართლებს. თქვენი სახელის შეცვლა შეუძლებელია. ამომრჩევლები უმალვე დაეჭვდებიან რაღაც ცუდზე. თქვენ რომ დამწყები პოლიტიკოსი იყოთ, სხვა საქმეა: აილებდით ფსევდონიმს, მოიფიქრებდით რამეს. ახლა კი...

ის დამნაშავესავით გაყუჩდა, გაუბედავად აიჩეჩა მხრები და ოფიციანტს ხელი დაუქნია, რომ ანგარიში მოეტანა.

ის თითქოს მართალი იყო, მაგრამ ამ სიტყვების გამო თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი. პირველად მთელი ჩემი კარიერის მანძილზე, შემშურდა ჩემზე ახალგაზრდა პოლიტიკოსებისა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს იქ, სადაც მე დავმარცხდი, წინ წაიწიეს, შეძლეს მეტის გაკეთება, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს პოლიტიკური ბრძოლის სიხარული – ცხარე დავების ადრენალინი, შენთვის ჩამორთმეული ხელის ნამდვილი სითბო, შეხვედრები უბრალო ადამიანებთან – უცბად მეჩვენა ძალიან წვრილმანად ყოველდღიურობასთან შედარებით: როცა ეძებ ფულს, შორი გზიდან მიდიხარ შინ ორი საათით გაწელილი ბანკეტის შემდეგ, ცუდად ისადილე, დახუთულია ჰაერი და მოკლე სატელეფონო საუბრების შემდეგ ცოლთან, რომელიც მე ჯერ კიდევ მიტანდა და გვარიანად დაიღალა იმით, რომ მთელი დრო მარტო იყო ბავშვებთან და უკვე არაერთხელ დაინტერესდა იმით, თუ რა არის ჩემთვის მთავარი. კანონშემოქმედებაც კი, დიდი პოლიტიკაც, რომლებმაც მაიძულეს, მებრძოლა პირველი ადგილისთვის, გახდნენ რაღაც უმნიშვნელო, ძალიან დაშორებული დიდი ბრძოლებისგან გადასახადებისთვის, უმუშევრობისთვის, ჯანმრთელობის დაცვისთვის და სამუშაო ადგილებისთვის მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. სულ უფრო და უფრო მიპყრობდა ეჭვი – სწორი გზით მივდივარ კი? აღმოვჩნდი ოცნებით გატაცებული მსახიობის მდგომარეობაში, რომელიც სულ დადის მოსმენიდან მოსმენამდე, ან სპორტსმენისა, რომელიც წლების განმავლობაში ქვედა ლიგაში თამაშობს. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხვდებიან, რომ ყველაფერი თავისი გზით მიდის, მიაღწიეს თავიანთი ნიჭის ზღვარს, აი, რაც მათ ბედმა განუმზადა. ოცნება არ აღსრულდება, ახლა საჭიროა, ან ჭკუაში ჩავარდნილი კაცის თვალით შეხედო ყოველივეს და დაისახო სხვა, მისაღწევი მიზნები, ანდა ბავშვივით დახუჭო თვალი და გადაიქცე გაბრაზებულ, საცოდავ და აღარავისთვის საჭირო ბუტბუსურად.

მიუღებლობა, რისხვა, დავები, გულგატეხილობა... ჩემი აზრით, სპეციალისტების მტკიცებათა საპირისპიროდ, ამ კიბის ყველა საფეხური მაინც ვერ დავძლიე. მაგრამ დროთა განმავლობაში მოვიდა საკუთარ შესაძლებლობათა საზღვრების და, გარკვეულწილად, თავად იმ ფაქტის შეგრძნებაც, რომ მე მოკვდავი ვარ. მე მთელი გულისყური გავამახვილე შტატის სენატში მუშაობაზე და კმაყოფილებას ვგრძნობდი იმ რეფორმებისა და ინიციატივების გამო, რომელთა განხორციელებაც შევძელი ჩემს პოსტზე. სახლში უფრო დიდხანს ვიყავი ხოლმე, ვხედავდი, როგორ იზრდებოდნენ ჩემი ქალიშვილები, ვზრუნავდი, რამდენადაც შემეძლო, ცოლისთვის, წესრიგში მომყავდა ჩემი გრძელვადიანი ფულადი საქმეები. მივდევდი სპორტს, ვკითხულობდი წიგნებს და აღმოვაჩინე, რომ თურმე დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, ხოლო წელიწადის დროები ერთმანეთს ცვლიან. ჩემი ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

სწორედ ამის შემდეგ მომივიდა თავში თითქოსდა ბოდვითი აზრი – კენჭი მეყარა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში. შევეცადე, ამეხსნა ცოლისთვის ჩემი სარისკო ჩანაფიქრი, უკანასკნელი შესაძლებლობა იმისა, რომ შემემოწმებინა ჩემი იდეები მანამ, სანამ ყველაფერი დამშვიდდებოდა, ცხოვრებაც უფრო სტაბილური და უზრუნველყოფილი გახდებოდა ბოლოს და ბოლოს. ის დამეთანხმა – ვფიქრობ, რომ უფრო შეცოდების, ვიდრე რწმენის გამო – თუმცა დაუმატა, რომ თავად მე ოჯახისთვის ნორმალური ცხოვრება მსურს, ამიტომ ჩემი ხმის დიდი იმედი ნუ გექნებაო.

მე ის იმით დავამშვიდე, რომ ჩემი შანსები მეტად აჩრდილისებრივია. კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან პიტერ ფიცჯერალდმა საკუთარი ცხრამეტი მილიონი დოლარი დახარჯა თავისი წინამორბედი მანდილოსნის კეროლ მოზლი ბრაუნის გზიდან ჩამოსაშორებლად. დიდი პოპულარობით ის ვერ დაიკვეხნიდა; პოლიტიკური თამაშები, როგორც ეტყობოდა, საერთოდ არ უყვარდა. მაგრამ ამომრჩეველთა გარკვეული პატივისცემა მან დაიმსახურა არა მხოლოდ თავისი გულწრფელობით, არამედ უზარმაზარი საოჯახო კაპიტალითაც.

მაშინ კეროლ მოზლი ბრაუნი ის-ის იყო დაბრუნდა ამერიკაში ახალი ზელანდიიდან, სადაც იგი ელჩი იყო და ფიქრობდა, რომ დაეკავებინა თავისი ძველი ადგილი; მისი კანდიდატურა სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა ჩემს გზაზე. როდესაც მან გადაწყვიტა, ამის ნაცვლად მიეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო კამპანიაში, სენატის ადგილის გამო გაჩაღდა ძლიერი მღელვარებანი. მას შემდეგ, რაც ფიცჯერალდმა განაცხადა, რომ არ სურს ხელახლა არჩევა, ჩემი მთავარი მეტოქე აღმოჩნდა ექვსი კანდიდატი, მათ შორის შტატის მოქმედი კონტროლიორი, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის პატრონი ბიზნესმენი, ჩიკაგოს მერის რიჩარდ დეილის წინასაარჩევნო კამპანიის შტაბის უფროსი, და შავკანიანი ქალი-ექიმი, რომლის კანდიდატურაც, როგორც ვარაუდობდნენ, გათიშავდა შავი ამომრჩევლების ხმებს და შეამცირებდა გამარჯვების ჩემს ისედაც საცოდავ შანსებს.

(გაგრძელება იქნება).

ეხმაურებიან

# ხვალ გვიან იქნება

**დასაბამიდან დღემდე ქართველი ერი იმ ღვთაებრივმა ჯიშმა და გენმა მოიყვანა, რომელსაც უფალმა უბოძა თავისი საბაღნარო, მართლაც წალკოტი ადგილ-მამული.**

ესე რომ არა, რამდენი უძლიერესი იმპერია მინავლდა ასპარეზიდან ჟამთა ქიდილში. საქართველო და ქართველობა კი დგას, როგორც უძველეს ცივილიზაციათა მეისტორიე, უკეთესი მომავლის მოიმედე და მაცნე.

მართალია, დავპატარავდით, დავცოტავდით, მაგრამ მაინც ხომ ვართ და ვიქნებით, თუკი...

შადიმანები, გამყიდველები, მედროვენიც რომ მოგვიმრავლდა, არც ეს არის გასაკვირი. ღირსეული მამულიშვილები, ერის მადიდებელნი მომძლავრებელნიც გვყავს და იმაზე მეტიც, ჩვენს ხელისუფალთ რომ ჰგონიათ.

ამჯერად კალამი ხელში გულანთებულ სამტრედიელ ვაგონშემკეთებელთა წერილმა ამაღებინა, ჩვენი გაზეთის 14 ოქტომბრის ნომერში რომ გამოქვეყნდა.

დემოგრაფიულ გასაჭირზე „საქართველოს რესპუბლიკაში“ არაერთი პრობლემური წერილი გამოქვეყნებულა. ყველა მათგანში განგაშის ზარი იყო დარისხებული და არა მარტო. ასევე მითითებული იყო ჩიხიდან გამოსვლის კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გზები, რომელთა განხორციელება დღეს ჰაერივით გვჭირდება. მაგრამ რად გინდა, ჩვენს ხელისუფალთ ყურებთან ქვემეხები რომ დაუგრიალო, გააგონებ თუ რა...

უარესიც რომ დამართეს ქვეყანას, ძალად თავსმოხვეულ ომში ასობით ჭაბუკი რომ დაიღუპა, ის ხომ ასობით დაკარგული მომავალი ოჯახია. ახლა, რამდენი მშვიდობიანი მოსახლე გაუბედურდა. ალბათ არასდროს გაგვიმხელენ რა რაოდენობის მსხვერპლთან გვაქვს საქმე. თუმცა, ამას რა აზრი აქვს...

უამისოდაც ხომ ქვეყნის დემოგრაფია უფსკრულის პირას იყო. ახლახან გაზეთ „რეზონანსში“ ამოვიკითხე, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წლეულს 31 ათასით შემცირდაო და ჟრუანტელმა დამიარა. ესე იგი, ამაზე საუბარი აღარ უნდა შევწყვიტოთ, არც მე, არც ნებისმიერმა სხვა ქართველმა.

სამტრედიელმა რკინიგზელებმა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა მიგვანიშნეს და საქმეც მიაყოლეს.

მრავალშვილიანობის ერთერთი პირობა ეკონომიკური ფაქტორი რომაა, ამას მტკიცება არ სჭირდება და მაინც...

ოთხმოცდაათიან წლებში ქალაქ რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე გახლდით. მაშინ ეროვნული მოძრაობა ბობოქრობდა. კომუნისტური ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია. ისიც უნდა ითქვას, რომ იგრძნობოდა ეროვნული სულისკვეთება, მამულიშვილური გულის ძახილი. იმ ხელისუფლებაში ძალები იყო და აკი უშურველადაც გვეხმარებოდნენ.

როდესაც დემოგრაფიული საზოგადოება ჩამოვაყალიბეთ, ქალაქში 265 მრავალშვილიანი ოჯახი მოვიძიეთ. ზღვრად ოთხი შვილი დავადგინეთ, თორე სამშვილიანებს აბა რას ავუვიდოდით.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ცხოვრება ისე არ ჭირდა, დღევანდელივით დაქცეულები არ ვიყავით, მატერიალურმა წახალისებამ საოცარი ნაყოფი გამოიღო.

განა რას ვაძლევდით ასეთს, საქალაქო საბჭოს აღმასკომი გამოგვიყოფდა მსუბუქ ავტომანქანებს, ავეჯს, გვირიცხავდა თანხებს... ამაში ქარხნების მესვეურებიც გვეხმარებოდნენ და ჩვენც შესაბამისად ვუნაწილებდით მრავალშვილიანებს.

სულ რაღაც ორ წელიწადში მრავალშვილიანთა რიცხვი გაორმაგდა. მომდევნო წლებში კი მატულობდა და მატულობდა მათი რაოდენობა. მაშინ ხომ გმირი დედის საპატიო წოდებაც არსებობდა...

რუსთაველ ნოდიებს 13 შვილი ჰყავდათ, ნათენაძეებს – 11, ამდენივე – ქებაძეებს, ხოლო 8 და 9-შვილიანები იმდენი იყო, ვერც კი ჩამოვთვლი. და ეს ჩემი ამ სამსახურში მოღვაწეობის ხუთ თუ ექვს წელიწადში მოხდა.

მიმაჩნია, რომ ამაში მთავარი ეკონომიკური ფაქტორი კი არა, მორალური მხარდაჭერა და დედობის ღირსება იყო. ქართულ გენს ხომ ისედაც მოსდგამს შვილების სიმრავლისადმი ლტოლვა. „ნეტავი შვილთა მრავალთა...“ – უთქვამთ წინაპართ.

მერე ქვეყანა აირია, მხედრიონელობა, თვისტომის რბევა და ძარცვა, ძმათა მკვლელობა... დაინგრა მამა-მარჩენალი ქარხნები, ფაბრიკები. უმუშევრობა და უსასოობა მოგვეძალა. ქვეყნიდან წავიდა 1,5 მილიონამდე ახალგაზრდა, გენეტიკურად ერის გამაძლიერებელი, შემოქმედი თაობა. მათ შორის უმეტესობა მომავალი დედები, რომელთაგან ათასობით დღეს ამერიკას, ინგლისს, თურქეთს, საბერძნეთს, იტალიას თუ დედამიწის ვინ იცის რომელ ქვეყანას უმრავლებს შვილებს.

ამის შესახებ ბევრჯერ გვითქვამს.



ინფორმაცია

## ენერგეტიკულ სამიტს საქართველო უმასპინძლებს

**ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია, თუმცა სამიტი 2009 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება.**

**პირველი ენერგეტიკული სამიტი საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტების მონაწილეობით კრაკოვში ჩატარდა, მეორე – ვილნიუსში, მესამე – კიევში, ხოლო მეოთხე – ბაქოში.**

**სამიტებში, როგორც წესი, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების პირველი პირებიც მონაწილეობენ.**

## ბუნებრივი აირით „სოკარი“ მოგვამარაგებს

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია („სოკარი“) მომავალ წელს საქართველოსთვის 1,050 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიწოდებას უზრუნველყოფს. ქვეყნის მთლიანი წლიური მოხმარება კი, 1,8 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.**

**როგორც ჟურნალისტებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განუცხადა, „სოკარი“ გაზის მიწოდებას მოსახლეობისა და თბოელექტროსადგურებისთვის უზრუნველყოფს.**

**მოსახლეობისთვის განკუთვნილ ბუნებრივ აირს გაზგამანაწილებელი კომპანიები 167 აშშ დოლარად იყიდიან (ეს ტარიფი გაზის სამომხმარებლო ტარიფშია დაფიქსირებული), ხოლო თბოელექტროსადგურები – 143 აშშ დოლარად. თბოელექტროსადგურებისთვის გაზის ტარიფის შენარჩუნება ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.**

**მოსახლეობის წლიური მოხმარება, დაახლოებით, 350 მლნ კბ.მ-ს შეადგენს, ხოლო თბოსადგურების – 700 მლნ კბ.მ-ს.**

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# ცვლილებების

**სხეფერი, სოლანა, ბაროზუ, სარკოზი, კუშნერი, კაჩინსკი ის ევროპელი პოლიტიკოსები არიან, რომლებიც ძალიან უყვართ ქართულ პოლიტიკურ წრეს და მის ერთგულ გულშემატკივრებს.** ევროპელმა პოლიტიკოსებმა ქართველ პოლიტიკოსთა სიყვარულში ამერიკელი კოლეგები ჩაანაცვლეს. **მსოფლიოს კონიუნქტურიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკის (ამ სახელწოდების პარტია არ მაქვს მხედველობაში) სიყვარული დროებითი, მიზნობრივი და ცვალებადია. წარმავალი ბუშის და მისი გუნდისადმი სიყვარული ცხინვალის მოვლენების განედში რჩება. მოდის ახალი, ობამას ადმინისტრაცია და უნდა ვიმედოვნოთ თბილისში არსებული ბუშის ქუჩისთვის ობამას პროსპექტი დაერქმევა, გარდა ამისა, საქართველოს წინაშე გაწეული „უმწიკვლო“ სამსახურისთვის ბრაიზას ჩიხიც გაჩნდება.**

მაგრამ ობამამ ისე უნდა იაქტიუროს, როგორც ეს სააკაშვილს სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად მოსალოდნელია, რომ მას, წინამორბედის დარად, საპრეზიდენტო მოღვაწეობის დასაწყისში კი არა, ბოლოსაც არ ეღირსოს მისი სახელობის ქუჩის გაჩენა ქართული „ჯორჯიის“ დედაქალაქში. ყველაფერი ახალი პრეზიდენტის ფანტაზიაზეა დამოკიდებული. **გამორიცხული არ არის, რომ ობამამ კრიტიკული თვალით შეხედოს პოსტსაბჭოთა სივრცის „დემოკრატიის შუქურას“, ვინაიდან, რაც დრო გადის, საქართველოს ხელისუფალთა აგვისტოს „საქმენი საგმირონი“ ამერიკულ-ევროპული პრესის ხშირი კრიტიკის საგანია. „ობამამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ცხინვალის ომის დაწყების შესახებ ინფორმაციებს, რომლებიც ეუთოს მეთვალყურეებმა მოამზადეს. მათ დაინახეს 7აგვისტოს შუადღეს ცხინვალისაკენ მიმავალი ქართული არტილერია. მათ ისიც აღნუსხეს, რომ ქართული მხარის მტკიცებით, წინა დღეებში გახსნილი ცეცხლი, ოსთა სროლის საპასუხოდ, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ვინაიდან ოსთა მხრიდან სროლას ადგილი არ ჰქონია. ეუთოს დამკვირვებლების მიხედვით ომი სააკაშვილმა დაიწყო და ცრუობდა ამის შესახებ“. წერს ამერიკული „ბოსტონ გლობი“.**

ხელისუფლებისადმი ჭარბი ლოიალურობით გამორჩეული ქართული პოლიტოლოგია დღეს გვერდს ვერ უვლის ამ ფაქტს და გულდაწყვეტით ამბობს, რომ



წარმატებით დაწყებულ საინფორმაციო ომს საქართველო აგებს, თითქოს საინფორმაციო ომის მოგება იყოს მთავარი. საინტერესოა, რომ იგებდეს, მერე რა? დაბრუნდება დაკარგული ტერიტორიები? ან იქნებ ვინმეს სჯერა საინფორმაციო ომის მოგებას მთელი მსოფლიოს დარაზმვა მოჰყვება რუსეთის წინააღმდეგ და გაერთიანებულები ყელში სწვდებიან ოკუპანტებს, დააჩოქებენ და მიტაცებულ ტერიტორიებს „ბედნიერ“ საქართველოს დაუბრუნებენ? მსგავსი რამ მხოლოდ ზღაპრებშია, მაგრამ ერთია საინტერესო, **სადამდე დაარწმუნებს პოლიტოლოგია საკუთარ თავს ან სხვას ამ სიცრუეში?**

გასულ კვირას საქართველო ნიცით ცხოვრობდა, ამ კვირას ჟენევით. ახლოვდება ნატოს მინისტერიალი, მერე იმით ვიცხოვრებთ. ქართულ მასმედიაში არის ერთი ორომტრიალი უსაფუძვლო პროგნოზებით და სასურველის რეალურად წარმოსახვით. არის პრეზიდენტის ბლიცვიზიტები ხან პოლონეთში, ხან პარიზში, ხან სად, საკუთარი თავის კიდევ ერთხელ შეხსენებისათვის, დასავლეთისათვის რუსეთის აგრესიულობის დანახვებისათვის, ანუ როგორც ქართველი პოლიტოლოგი ამბობს – „რუსეთის ჩახდისათვის“. **ჩვენდა სამწუხაროდ, 8 აგვისტოს სტრიპტიზმმა რა დაანახვა დამშვიდებულ ევროპას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩვენზე, რომ მომაკვდინებლად იმოქმედა, ფაქტია. ასეთ „ჩახდას“ ჩაუხდელობა სჯობდა.**

მიუხედავად პარლამენტართა ოპტიმისტური განცხადებებისა, რომ ნიცამ თითი დაუქნია რუსეთს ჩვენდა სასარგებლოდ, სკეპტიკურ საქართველოს აღარ სჯერა. ევროკავშირსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის მოწყობილი სამიტის ძირითადი თემა – ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობა, განსაკუთრებით საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს და არა დაპირისპირებას. ამ შემთხვევაში საქართველო საკითხია, მაგრამ არა მთავარი, მით უმეტეს, როდესაც ევროპა მიიჩნევს, რომ პრობლემა სიმწვავიდან შედარებით მშვიდ ვითარებაში გადადის. სამშვიდობო პროცესი სახეზეა. ცხადია ნიცაში საქართველოზეც იყო მსჯელობა, ვინაიდან ევროკავშირის აქტიურობა ცხინვალის ომთან დაკავშირებით თავიდანვე თვალშისაცემი იყო და რომ არა მისი თავმჯდომარის სარკოზის დაბეჯითებული მეცადინეობა, ვინ იცის რით დასრულდებოდა რუსული ტანკების მარში.

ევროპა მიიჩნევს, რომ მან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის – შეაჩერა ომი, მხარეებს ხელი მოაწერინა შეთანხმებაზე, გამოგზავნა დამკვირვებლები ვითარების გასაკონტროლებლად, უარი თქვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და რეკომენდაცია მისცა რუსეთს, უკან წაიღოს თავისი გადაწყვეტილება სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე, თუმცა აშკარად დარწმუნებული იყო, რომ ამას ის არ გააკეთებდა, ისევე, როგორც თვითონ – კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით. გარდა ჩამოთვლილისა, ევროპამ აშშ-თან ერთად სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწია საქართველოს. 4 მილიარდნახევარი დოლარი ხელწამოსაკრავი თანხა არ არის საფინანსო კრიზისის პირობებში. შედარებისათვის – მრავალმილიონიანი პაკისტანი, აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი და თალიბან-ალ კაიდასთან ბრძოლაში ფრონტის ხაზზე მყოფი ქვეყანა, 7.5 მილიარდ დოლარს სთხოვს სავალუტო ფონდს და დარწმუნებულიც არ არის მიიღებს თუ არა ამ თანხას, ვინაიდან საფინანსო კრიზისიდან გამომდინარე, არაერთი ქვეყანა ითხოვს დახმარებას.

ჩამოთვლილი მაგალითები ბევრის მთქმელია და მხოლოდ დაუნახავს შეუძლია უმნიშვნელო დახმარებად მიიჩნიოს. ცხადია საქართველოს საზოგადოებისათვის ყოველივე არაფერია იმ უდიდესი დანაკარგთან შედარებით, რასაც აფხაზეთი და ოსეთი ჰქვია. ამ დანაკარგზე ვერც ზოგი „რეალისტი“ ქართველის ხმამაღალი ნათქვამი – „ისედაც დაკარგული იყოო“, ვერ შეავსებს. ქართველ-

საზღვრებს მიღმა მონებად გამეტებულ ჩვენიანთა დაბრუნებაზე არც შევარდნაძეს დასცდენია სიტყვა, სააკაშვილს კი უფრო ეს აძლევს ხელს, რადგან რაც ცოტა ქართველი დარჩება საქართველოში, მით უფრო ნაკლებად მოელანდება 7 ნოემბერი.

დავუბრუნდეთ სამტრედიელ მამულიშვილთა გულისძახილს. დედებს ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა სჭირდებათ და საამისოდ საზოგადოებამ უნდა მოიმოქმედოს რამე. ამ ხელისუფლებისაგან მსგავსს რომ არაფერს უნდა ველოდოთ, ცხადია.

თუმცა, იმ ახალგაზრდებს, ოჯახების შექმნა რომ უნდათ, სახლი რომ არა აქვთ, სამუშაო რომ ვერ უშოვიათ, ათასი სხვა პრობლემა რომ აქვთ, იმათ რით ვუშველოთ?

სამტრედიელთა თაოსნობას, სამწუხაროდ, მხოლოდ ბელგიის მოქალაქე, ჩვენი თანამემამულე ოთარ ხახაშვილი გამოეხმაურა. ისე, კარგი იქნება, თუ ბატონი ომარი უცხოეთში მცხოვრებ შეძლებულ ქართველებს შემოიკრებს და იმ ფონდთან, რომლის შექმნასაც რკინიგზელები გვთავაზობენ, აქტიურად ითანამშრომლებენ. სამწუხაროდ, ამ გამოძახილს სხვა არც ერთი საწარმოდან, არც ბიზნესმენთაგან გამოძახილი არ მოჰყოლია. არადა, მეგონა რუსთაველი მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები და სხვა დარგის წარმოჩინებული ბიზნესმენები სიმბოლურ მხარდაჭერას მაინც გამოხატავდნენ.

თუმცა არც მათ გაემტყუნებათ. ეს ხელისუფლება ვითომ საჩვენოდ (თუ სხვა საჭიროებისათვისძ ისე „უანგაროდ" სძალავს ყველას მილიონებს, რომ საკუთარი მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასებსაც კი ველარ არიგებს ხშირად.

და მაინც, ამ საშვილიშვილო საქმეს ერთად უნდა მივხედოთ, გავიჭირვოთ და ყველამ გავიღოთ ერის გადასარჩენად ჩვენი წილი.

ხვალ უკვე გვიან იქნება. ასეთი პრობლემების ფონზე „ხვალ" აღარ არსებობს... ხვალ ასპარეზზე მოვა ის (და შესაძლოა უკვე მოსულიცააძ, ვინც ამ მიწა-წყლის გამო საუკუნეების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით გვებრძოდა. დაძაბუნებული, დათითოკაცებული ერის მიწას კი, თვით უფლისაგან ნაწყალობევსაც, ყველა ადვილად მიითვისებს.

**გივი ჯახუა**

***P. S.* ჩვენს ერს ღმერთი არ გასწირავს. ამის ნიშანსვეტი ისიცაა, რომ ქვეყნისთვის ამ უმძიმეს ჟამს მართლმადიდებელი სარწმუნოების საჭეთმპყრობელი, მისი უწმინდესობა ილია მეორე გვიდგას მხარში და ისე გვამხნევებს, როგორც ჭეშმარიტ ღვთისმსახურს შეეფერება. ჩვენს ხელისუფლებას არ სურს ჩვენი სულიერი და ფიზიკური გადარჩენა. ამიტომ რწმენამ უნდა გადაგვარჩინოს. ჩვენი მხრივ, მიზანი უნდა დავისახოთ, რომ ვიმოქმედოთ დემოგრაფიული პრობლემის გადასაჭრელად. პირადად მე საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებ. პირველ რიგში, ჩემი საწყალი პენსიიდან, რაც ლამის ექვსი ათეული წლის მუშაობის სტაჟის მქონეს მარგუნეს, ერთი თვის სარგოს დემოგრაფიული ფონდის ანგარიშში გადავრიცხავ და თანამოაზრენიც მრავლად მყავანან.**

***რაც შეეხება ფონდს, იქნებ ჯობდეს, იგი ცალკე შეიქმნას, საზოგადოებრივ საწყისებზე, დიდი მამულიშვილების თანადგომით, საბჭო უპატიოსნესი ხალხით დაკომპლექტდეს, თორემ ფული ისეთი რამეა, საეკლესიო წიაღშიც კი შეაღწევენ ვირთხები. უწმინდესსა და უნეტარესს კი ისედაც უამრავი სასიცოცხლო საქმე აქვს საკეთებელი.***

***უფალი გვასწავლის, ინაყოფიერეთ და იმრავლეთო. ესაა ერთადერთი გზა სამშობლოს გადასარჩენად.***

***გ. ჯ.***

თემიდა

# უსწორო სამართალი და დაუსრულებელი დავა

## სარდაფის პრივატიზაციის „მღვრიე ფერი"

**საყოფაცხოვრებო დავები მეზობლებს შორის ახალი ამბავი სულაც არ არის. დავების მიზეზთა ისედაც მრავალფეროვან პალიტრაში თავისი „მღვრიე ფერი" არასაცხოვრებელი ფართების პრივატიზაციამაც შეიტანა.**

ერთი ასეთი დავა ამჟამად ბულაჩაურის ქუჩის №17-ში მცხოვრებ ბიძინა ფურცელაძესა და ვალენტინა ბალანჩივაძეს შორის მიმდინარეობს. საქმე ეხება მათი საცხოვრებელი სახლის სარდაფის პრივატიზაციას (ის ფურცელაძის ოჯახს ეკუთვნოდა), რასაც მოსარჩელე კანონის დარღვევით განხორციელებულად მიიჩნევს და ამასთან დაკავშირებით მიმართა კიდეც სასამართლოს.

სარჩელის არსი ის არის, რომ ვ. ბალანჩივაძესა და მისი შვილის ლ. ქაცარავას შორის დადებული ხელშეკრულება სარდაფის პრივატიზაციის თაობაზე, რომელიც ნოტარიუსმა ს. ბახტაძემ დაამოწმა, გაფორმებულია 2003 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო არასაცხოვრებელი ფართი (ე. ი. სარდაფიძ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2003 წლის 8 ოქტომბერს, ანუ ორი დღით ადრე, რაც კანონდარღვევაა.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში შეიმჩნევა სიყალბის ნიშნები, რის გამოც ადმინისტრაციული საქმის განხილვა შეჩერდა და საქმე განჩინებით თბილისის პროკურატურას გადაეგზავნა ნოტარიუს ს. ბახტაძის ქმედების შესაფასებლად. თუმცა პროკურატურამ წინასწარი გამოძიება შეწყვიტა... სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედების არარსებობის გამო — ყოველივე ეს მიიჩნია მექანიკურ შეცდომად. პროკურატურის ეს დადგენილება ბ. ფურცელაძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა, მაგრამ საჩივრის დაკმაყოფილებაზე აქაც უარი ეთქვა.

რედაქცია, ცხადია, კომპეტენტური არ არის დავის გადაწყვეტის საკითხში, მაგრამ იმედოვნებს, რომ მომავალი სასამართლო სხდომა სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და მოსამართლე ნინო ონიანი წერტილს დაუსვამს დიდი ხნის დავას.

**ოთარ ტურაბელიძე**

გლობუსი

# მოლოდინში

თა მოთხოვნა, რომ რუსეთმა ჯარი გაიყვანოს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ძნელად განსახორციელებელია. მოსკოვის განმარტებით მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შემდეგ ვითარება შეიცვალა. გუშინდელი სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელი ქვეყნებია, რომლებთან რუსეთს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება — თავდაცვის მიზნით სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ. გარდა ამისა, ცხინვალის ომის დაწყებამდე აშკარად ჩანდა ევროკავშირის აქტიურობა არა მარტო სეპარატისტული რეგიონების საქართველოში შემობრუნების თვალსაზრისით, არამედ მათთვის თითქმის დამოუკიდებლობის ტოლფასი სტატუსის მიცემისათვის. გავიხსენოთ გერმანიის ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შტაინმაიერის ვიზიტი სოხუმში, მის მიერ შედგენილი გეგმის გაცნობის მიზნით. უცხოურ პრესაში გაჟღენილი ვერსიის მიხედვით ომის დაწყებამდე აშშ, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ინტენსიურ დიალოგს ჰქონდა ადგილი. რუსეთი თვალს დახუჭავდა ნატოში საქართველოს გაწევრებაზე, ოღონდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე. გეგმამ სააკაშვილის უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან ის ახალ ანტისახელისუფლო ტალღას ააგორებდა, სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. სხვა წყაროების მიხედვით, აღნიშნულ გეგმას ამერიკელ ნეოკონსერვატორთა მხრიდან წაქეზება დაერთო. ისინი მაკქეინის პოზიციების გასამყარებლად მიიჩნევდნენ რუსული ფაქტორის გათამაშებას. ორივე მომენტის გათვალისწინებით სააკაშვილმა გადადგა „გმირული" ნაბიჯი.

ვერსია იმის შესახებ, რომ **ცხინვალში გამარჯვების აღსანიშნავად ფეიერვერკისთვის ყველაფერი მომზადებული იყო, ისევე, როგორც პრეზიდენტის კათედრა, საიდანაც გამარჯვებული პრეზიდენტი ცხინვალიდან მიმართავდა საქართველოს მოსახლეობას, არსებობს. შეტევა სისწრაფეზე იყო გათვლილი. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ რუსეთი ან არაფერს ან ვერაფერს მოიმოქმედებდა.** ის ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამასობაში პროცესში ჩაერთვებოდა აშშ-ი. თავდასხმის შესაბამისი დროც შეირჩა — ოლიმპიური თამაშების გახსნა, როდესაც მსოფლიოს მილიონობით ადამიანის მზერა პეკინისკენ იყო მიმართული, ხოლო დიდი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ლიდერები პეკინში იმყოფებოდნენ. ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს პრესაში გამოქვეყნებული ვერსიები, მაგრამ ეჭვი უკვე აღარავის შეაქვს იმაში, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ამერიკისა და ევროპის ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება სტატიები, რომლებშიც ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებენ. პრეზიდენტობისათვის მებრძოლი სენატორი მაკქეინის მიერ მოკავშირე „მიშასადმი" წარმოთქმული თბილი სიტყვები, პასუხი იყო ომით გაჩენილ დადებით ქულებზე, რაც მას ცხინვალის ომიდან გამომდინარე რუსეთის ლანძღვამ მოუტანა. დეზინფორმირებული ამერიკის თვალში ვიეტნამის ომის გმირი სენატორი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკოსის სახეს იძენდა. მხოლოდ მას და არა დემოკრატ ობამას შეეძლო რუსეთთან გამკლავება. ის, რომ სააკაშვილს ცხინვალში შეჭრაზე გარკვეული ამერიკული პოლიტიკური ჯგუფი აქეზებდა, აღნიშნულია დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ ოუენის სტატიაში, რომელიც ბრიტანულ „სანდი ტაიმსში" დაიბეჭდა. ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი" კი წერს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ობამას განცხადება ცხინვალთან დაკავშირებით ზედაპირული იყო. ის დაეთანხმა მაკქეინს, ვინაიდან სხვაგვარად ქულებს დაკარგავდა, გარდა ამისა, გაურკვეველი იყო ვითარება, რომელიც საქართველოში განვითარდა. **არათუ მაშინ, არამედ დღესაც ექსპერტი-კრემლინოლოგები თავს იმტვრევენ იმის გამოცნობით რუსული აგრესია საბჭოეთის ნოსტალგიით იყო გამოწვეული და კვლავ შეიძლება განმეორდეს, თუ თვით რუსეთი აღმოჩნდა ომში ჩართული ამერიკელთა მიერ უზომოდ მხარდაჭერილი გაუწონასწორებელი სააკაშვილის მიერ? ბოლოს ჟურნალი ასკვნის, რომ ომი საქართველომ დაიწყო და აქედან გამომდინარე ობამამ შესაბამისი დასკვნები უნდა გააკეთოს.**



**საქართველოს ტელეკომპანიების წყალობით მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჯერაც არ იცის რა მოხდა 8 აგვისტოს. მას არც დანგრეული ცხინვალის ვიდეოკადრები უნახავს. მან იცის, რომ ომი რუსეთმა დაიწყო, ხოლო საქართველო იძულებული იყო ეპასუხა. ცხინვალის მოვლენების შემსწავლელი ევროპული კომისია შეუდგა საქმიანობას და უნდა ვიმედოვნოთ გაარკვევს ყველაფერს.**

**მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ ომის შედეგების აღმოსაფხვრელად ან ჭეშმარიტების საბოლოოდ დასადგენად, ახალი ომის წარმოება განწირულია. ომის შედეგად მოპოვებული წარმატება გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ სერიოზული დავის საგანი ხდება. როგორც წესი ყოველი ომი მოლაპარაკებით თავდება. სრული უპასუხისმგებლობაა შუასაუკუნეებიდან ამოღებული ფრთიანი ფრაზის — ომით დაკარგული, ომით ბრუნდება, გათანამედროვება, როდესაც ომისათვის არც შესაბამისად გაწვრთნილი არმია გყავს და არც შემართება გაგაჩნია. გადამთიელებზე ნაწილ-ნაწილ გაყიდული საქართველოსთვის მებრძოლი და თავგანწირული ჯარისკაცის მამაცობა ძნელი დასაჯერებელია, რისი მოწმენიც გავხდით.**

ქ. ანკარაში 31 ოქტომბერს გამართული საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც 8 აგვისტოს მოვლენები განიხილა, **აფხაზეთის წარმომადგენელმა სოკრატ ჯინჯოლიამ რიტორიკულად იკითხა — 1992 წლის აგრესიის შემდეგ ქართული საზოგადოება ხელისუფლებას ადანაშაულებდა, ასეა დღესაც — იქნებ ხელისუფლებასთან ერთად საზოგადოებაც არის დამნაშავეო. და მართლაც იქნებ ყველა ჩვენგანია დამნაშავე?!**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## ახლად-გაზიფიცირებული მომხმარებელი საფასურს კომერციული ფასით გადაიხდის

**— ყველა ახლად გაზიფიცირებულ მომხმარებელს ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა კომერციული ტარიფით მოუწევს, — განუცხადა ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.**

**პირველი აგვისტოს შემდეგ ახალი მომხმარებლებისთვის მიწოდებული გაზის ტარიფი დარეგულირებულია. მაგალითად, თბილისში „ყაზტრანსგაზ-თბილისის" აბონენტები 1 კუბ.მ-ში 69 თეთრს იხდიან.**

**ანალოგიური ვითარება იქნება საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის კუთვნილი „სოკარ ჯორჯია გაზი" გაზიფიცირებას განახორციელებს.**

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, ახალი მომხმარებლების გაზიფიცირება იწვევს ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდას, შესაბამისად, დამატებითი აირის შესყიდვა გაზგამანაწილებელ კომპანიებს კომერციულ ფასად მოუწევთ.**

ინტერპრესნიუსი

## აზიის განვითარების ფონდი 70 მილიონით გვეხმარება

**აზიის განვითარების ფონდმა საქართველოს დახმარების სახით 70 მილიონი დოლარი გამოუყო.**

**აღნიშნულ შეთანხმებას ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა და აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა ჰარუჰიკო კუროდამ მოაწერეს ხელი.**

**ფინანსთა მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, თანხა საბიუჯეტო სფეროსთვის გამოიყო.**

**70 მილიონი დოლარის სესხის საპროცენტო განაკვეთი 1%-ს შეადგენს. აღნიშნული კრედიტი საქართველოს 40 წლის ვადით გამოეყო.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გამოსავალი კავკასიური ჩიხიდან



**მოსკოვსა და თბილისს შორის ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ გასულ თვეში და იმ პირობებში, როდესაც ცოტა რამეს თუ უნდა ველოდოთ ამ მოლაპარაკების მეორე რაუნდიდან, საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოწესრიგება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიუწვდომელი გვეჩვენება.** ჩავარდნა არ იყო მოულოდნელი და იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად შორს არიან მხარეები ერთი მეორისგან საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. კომპრომისის ძიება აფხაზეთთან დაკავშირებით, რომელიც უფრო დიდი და პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანია ორ სადავო ტერიტორიას შორის, მოსჩანს განსაკუთრებით რთულად.

როდესაც გამოდიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები აძლევენ დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობას სიგნალს იმის შესახებ, რომ მოსკოვი რჩება მის ერთადერთ საიმედო პარტნიორად და უშიშროების გარანტად. მეორე მხრივ, მოსკოვის მიერ ორი თვითგამოცხადებული რეგიონის აღიარება, რომელთა მონაწილეობასაც იგი დაჟინებით მოითხოვს ჟენევის მოლაპარაკებაში, ქმნის დაუშვებელ სამართლებრივ პრეცედენტს და იგი მიზნად ისახავს იქცეს რუსეთის ჯილდოდ მისი სამხედრო მოქმედებების გამო საქართველოში.

მაგრამ არსებობს შუალედური ფორმულაც, რომლის წყალობითაც შეიძლება მოხდეს მხარეთა შეურიგებელი პოზიციების დაახლოება. ამ მომენტში მათთვის სავსებით მისაღებია ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც არ იქნება აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამავე დროს არ იქნება აღიარებული აფხაზეთის დამოუკიდებლობა. აფხაზეთში შეიძლება შემოღებულ იქნეს მეურვეობის საერთაშორისო სისტემა ან კონტროლირებადი ადმინისტრაცია. ბოსნიის, კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორის პროცესების ანალოგიით, გაერო მისცემს უფლებამოსილებას საერთაშორისო ორგანიზაციებს, იმუშაონ აფხაზეთის ხელისუფლებასთან ეკონომიკური პოტენციალის გაზრდისთვის, მართვის სისტემისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფისთვის მოცემულ ტერიტორიაზე. აფხაზეთში საერთაშორისო ადმინისტრაციის შეყვანით საწყის პერიოდში, ვთქვათ, ათი წლით, შეიძლებოდა გადაგვედო საკითხის გადაწყვეტა მისი სტატუსის შესახებ მანამდე, სანამ მხარეები არ იქნებიან მზად განაახლონ სამშვიდობო მოლაპარაკებანი.

ასეთი გეგმის აგებაში შეიძლება გამოვიყენოთ ის გამოცდილება, რაც უკვე დააგროვა მსოფლიო გაერთიანებამ. სამშვიდობო სამეთვალყურეო ძალები ნატოს ქვეყნებიდან და რუსეთიდან იქნებიან უშიშროების გარანტიები. რუსეთის ჯარები თავს მოიყრიან ყველაზე მტკივნეულ საზღვრისპირა რაიონებში, მაგრამ ისინი დაემორჩილებიან სარდლობის საერთაშორისო სისტემას. ამ ახალ სამშვიდობო მისიას შეავსებენ საერთაშორისო პოლიციური ძალები, რომლებიც მოქმედებენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით, რომელიც კოორდინირებას გაუწევს აფხაზეთის მოქმედ დე ფაქტო უშიშროების ძალების საქმიანობას.

როგორც კოსოვოსა და ბოსნიის შემთხვევაში, სამოქალაქო მრჩევლები გაეროდან და ევროკავშირიდან იმუშავებენ თავიანთ კოლეგებთან ერთად აფხაზეთის სხვადასხვა სამინისტროებში, სრულყოფენ მათს მმართველობითს ჩვევებს და უზრუნველყოფენ მათი ადმინისტრაციული მუშაობის შესაბამისობას მისაღებ ნორმებთან და სტანდარტებთან. საერთაშორისო საბჭოს შეუძლია დააწესოს პროცედურა და ქონებრივი პრეტენზიების განხილვის წესი და ლტოლვილთა დაბრუნება არჩეულ რაიონებში. ევროკავშირი, ისევე როგორც ეუთო კოსოვოში, უზრუნველყოფს დემოკრატიული ნორმების დაცვას.

საერთაშორისო გაერთიანების ჩართვა კონფლიქტის მოწესრიგებაში გაუადვილებს აფხაზეთს რეგიონული და მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში ინტეგრაციის მოლოდინის პროცესს. გაეროს მეურვეობის ქვეშ აფხაზეთს ექნება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან სტაბილური ფინანსური სახსრებისა და კრედიტების მიღების უფლება. დედაქალაქი სოხუმი მოაწესრიგებს პირდაპირ კავშირურთიერთობას ბრიუსელთან, ვაშინგტონთან და სხვა გლობალურ ცენტრებთან. აფხაზეთის ხელისუფლებას და კერძო კომპანიებს შეეძლებათ აგრეთვე მიიღონ დამოუკიდებელი საკრედიტო რეიტინგები საერთაშორისო დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

უშიშროების სისტემის მოწესრიგება დაეხმარება მათ აგრეთვე უფრო კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში თბილისსა და სოხუმს შორის. ეს, პირველ რიგში, საშუალებას მისცემს ყველა მხარეს ურთიერთობა იქონიონ მსოფლიო ეკონომიკასთან და ჩამოაყალიბონ საერთო ინტერესები რეგიონის საქმიან გაერთიანებებს შორის.

წინადადებათა ასეთი კომპლექსის წამოყენება დააყენებს აფხაზებს იმის აუცილებლობის წინაშე, რომ გააკეთოს ფუნდამენტური არჩევანი: შეუერთდეს მსოფლიო გაერთიანებას, მოიპოვოს კონტროლირებადი ტერიტორიის სტატუსი თუ დარჩეს სრულ იზოლაციაში და რუსეთის დამოკიდებულებაში.

სავსებით ცხადია უპირატესობა საქართველოსთვისაც. იმის ნაცვლად, რომ დაკარგო ძალები და სახსრები პოლიტიკურად ფეთქებადსაშიში სტატუსის საკითხთან დაკავშირებით, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ინტერნაციონალიზაცია საშუალებას მისცემს თბილისს გაამახვილოს ყურადღება სათანადო ინსტიტუტების რეკონსტრუქციაზე და შექმნაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქართველოს ერთადერთი რეალური იმედი აფხაზეთის თავის შემადგენლობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით დამოკიდებულია მის გადაქცევაზე სტაბილურ, აყვავებად და ღია დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რაც მიმზიდველი იქნებოდა აფხაზი ხალხისთვის.

ამავე დროს, ასეთი ინტერნაციონალიზაცია საშუალებას მისცემს ევროპასა და რუსეთს, გააფართოონ ურთიერთობათა მოცულობა, დაძლიონ ურთიერთდაპირისპირება საქართველოს გამო და მოსკოვს შეუძლია აჩვენოს თავისი ლიდერობა. ასეთი გეგმის მხარდაჭერით მოსკოვი გვიჩვენებს, რომ მტკიცედ აქვს განზრახული მიაღწიოს სტაბილურობას კავკასიაში, როდესაც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს გაერთიანების მიერ სანქცირებულ სამართლებრივ პროცესში.

ალექსანდრ კული

THE WALL STREET JOURNAL

# საქართველოს აღდგენის სწორი საშუალება

**იმ ქვეყნების ამასწინანდელი სამიტის შემდეგ, რომლებსაც განზრახული აქვთ საქართველოსთვის უცხო ქვეყნების დახმარება, რისი საერთო მოცულობა გაიზარდა 4,5 მილიარდ დოლარამდე, დაახლოებით უდრის საქართველოს თითოეულ მცხოვრებზე 1000 დოლარს.** ეს კარგი ცნობაა. ცუდი ცნობა არის ის, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ მხოლოდ დონორი ქვეყნები და თავად საქართველოს მთავრობა, ხოლო „ტრანსპერენს ინტერნეიშნლმა“ გააკრიტიკა გადაწყვეტილებათა მიღების გაუმჭვირვალე პროცესი.

არასაკმარისი გამჭვირვალება და ანგარიშგება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იხარჯება ფული სამხედრო მოქმედებათა დროს და აღმშენებლობის პროცესში, უკვე აღარ აკმაყოფილებს გადასახადის გადამხდელებს. იმის გათვალისწინებით, რომ დახმარებისთვის მიმართვათა ოდენობა გლობალური მასშტაბით ხდება სულ უფრო და უფრო მეტი, ხოლო დახმარების გაწევის მოცულობა მცირდება, მისი ეფექტიანი და გამჭვირვალე გამოყენება ხდება სულ უფრო მეტად სავალდებულო. ხოლო მთავრობანი, რომლებიც ანგარიშს არ აბარებენ თავიანთ მოქალაქეებს, ალბათ, ამ საკითხში საერთოდ დაკარგავენ მხარდაჭერას.

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამასწინანდელი აღიარება ცალკეულ რესპუბლიკების სახით, მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო ავტონომიური სტატუსი აქვთ მათ საქართველოს შემადგენლობაში 1990-იანი წლების დასაწყისიდან, კიდევ უფრო ართულებს შინაგანი გადაადგილების პრობლემის გადაწყვეტის ძიებას, რეპატრირებული მოსახლეობის დაბრუნებას კონფლიქტის ზონებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები, უეჭველია, აღიარებენ საქართველოს აშკარა წარმატებას ეფექტიანი მიკროეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების განხორციელებაში, რაც აუმჯობესებს საქმიან კონიუნქტურას. უცხოელმა ინვესტორებმა უპასუხეს მათ უზარმაზარი დაბანდებებით ქვეყნის ეკონომიკაში. შემოსული კაპიტალის გათვალისწინებით ომამდელ წლებში, რომლებიც შეადგენდნენ მთლიანი შინაგანი პროდუქტის 20 პროცენტს, საქართველოს ეკონომიკის ყოველწლიურმა ზრდამ 2007 წელს 12 პროცენტს გადააჭარბა, ხოლო 2003 წლიდან ზრდამ შეადგინა თითქმის 40 პროცენტი.

გრაციანა დელ კასტილიო

PROJECT SYNDICATE

# რამაც გამოიწვია ომი...

**თვითმხილველთა ახალი მოწმობანი არყევენ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ საქართველო დაესხა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიას თავდაცვის მიზნით, იტყობინება გაზეთი, ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშნლის“ მოხსენებაზე მითითებით.**

76-გვერდიან მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდება დღეს, ორგანიზაცია ბრალს სდებს საქართველოს და რუსეთს სამხედრო დანაშაულებებში, რომლებიც მათ ჩაიდინეს ხანმოკლე ომის დროს და რომელიც დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 7 აგვისტოს.

მოხსენებაში ქართულ ჯარებს ბრალს სდებენ „უმიზნო დარტყმების“ შესრულებაში, რომლებმაც „გამოიწვიეს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა დაღუპვა და სამოქალაქო ობიექტების მნიშვნელოვანი ზარალი“. „ადამიანთა საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანური ნორმების სერიოზული დარღვევები მოხდა ყველა მხრიდან“, – ნათქვამია მოხსენებაში.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჯგუფის ხელმძღვანელი რაიან გრისტი იტყობინება, რომ, როდესაც დაიწყო ომი, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში „რჩებოდნენ ქალები და ბავშვები“, რომლებიც უნდა დაცულიყვნენ კონფლიქტისგან, ასე რომ მწვავდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

გრისტმა, მაშინდელმა მაღალი თანამდებობის წარმოადგენელმა ეუთოში, ასევე განაცხადა, რომ ეუთოს სამმა მეთვალყურემ ვერ შეძლო დაედასტურებინა ქართული მხარის განცხადება, რომ სამი სოფელი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა სროლის მიზანი სეპარატისტების მხრიდან სამი საათით ადრე, სანამ საქართველო დაიწყებდა ძირითად შეტევას.

ბი-ბი-სის ჟურნალისტმა, რომელსაც რუსებმა ნება მისცეს ემუშავა ცხინვალში, გასულ თვეს ნახა ნანგრევები. ნგრევები მოჰყვა ქართული რაკეტების „გრადების“ უმიზნო სროლებს.

ამასთან ერთად საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა თანამშრომლობდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციის გამომძიებლებთან, მაგრამ დაუმატა, რომ საქართველოს სურდა ეხილა „დამოწმებანი“, ვიდრე მოხდებოდა საბრძოლო მოქმედებათა გამო ბრალდებათა კომენტირება.

მისი სიტყვებით, პრეზიდენტს არასოდეს უთქვამს: „გავათავისუფლოთ სამხრეთ ოსეთი, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა“. იაკობაშვილმა დაუმატა, რომ იმყოფებოდა პრეზიდენტის გვერდით თბილისში, როდესაც საქართველოს ლიდერმა გასცა ბრძანება ცხინვალზე თავდასხმის შესახებ 7 აგვისტოს დაახლოებით 23:30 საათზე. „მან სამი ბრძანება გასცა: შეაჩერონ რუსეთის ტანკების კოლონები, მოახერხონ საქართველოს ტერიტორიების მისამართით სროლების შეჩერება“. შემდეგ მან დაკიდა ტელეფონის ყურმილი, ისევ აიღო და განაცხადა: „მინიმუმი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის“.

ერთ-ერთი სააგენტო ასევე ამტკიცებს, რომ „კონფლიქტის დროს ადგილი ჰქონდა განზრახულ დეზინფორმაციას და გადაჭარბებებს, განსაკუთრებით მის ადრეულ სტადიებზე“. მაგალითად, რუსეთი ბრალს სდებდა საქართველოს „გენოციდში“ 9 აგვისტოს, როდესაც კრემლმა განაცხადა 2 ათასი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის შესახებ. 12 ოქტომბერს რუსებმა გადახედეს მსხვერპლთა რაოდენობას და ისინი შეამცირეს 159-მდე.

ევროკავშირს მოუწევს გამოაცხადოს პირველი საერთაშორისო გამოკვლევის შესახებ, რომელიც უნდა აწარმოოს შვეიცარიელმა იურისტმა იმ მოვლენების მიხედვით, რამაც გამოიწვია ომი, თავად კონფლიქტის შესახებ, წერს გაზეთი.

ენ პენკეტი

THE INDEPENDENT

ომი და ადამიანები

# მეგობრობის ძალა
## გორელი კაცის ნაამბობი

**მე არც სამხედრო ექსპერტი ვარ და არც პოლიტიკოსი, რომ შეფასება მივცე იმას, რაც საქართველოში აგვისტოში მოხდა. მე მხოლოდ იმ ფაქტზე მინდა გიამბოთ, რაც გორის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. სამწუხაროდ, ამ ოჯახის ადგილსამყოფელი დღეს არ ვიცი, თუმცა 10 თუ 11 აგვისტოდან თბილისის თითქმის ყველა საცხოვრებელი შემოვიარე, სადაც ლტოლვილებმა შეაფარეს თავი. იქნებ ეს სტრიქონები წაიკითხონ და თვითონ გამოეხმაურონ რედაქციას, მაგრამ ესეც სავარაუდოა, რადგან შიშის სინდრომს შეეპყრო ეს ოჯახი, როცა თავისუფლების მოედანზე შევხვდი.**

იმ დაძაბულ დღეს ჩემი ყურადღება თავისუფლების მოედანზე (პუშკინის სკვერი) პატარა ბავშვებმა მიიპყრეს, რომლებიც ტიროდნენ და თან პურს ილუკმებოდნენ.

გამეცნო ოჯახის უფროსი გოჩა (შეიძლება ნამდვილი სახელი დამალა), მისი მეუღლე, რძალი, 4 პატარა შვილიშვილი. ბავშვების მამა კი გორში იმყოფებოდა.



გოჩა სახალხო დამცველის ოფისში წავიყვანე. იქვე შევხვდი ბატონ სოზარ სუბარს, რომლის დახმარებითაც საჭირო პროდუქტი და სხვა აუცილებელი ნივთები მიიღო ოჯახის უფროსმა.

მაინტერესებდა, როგორ გამოვიდნენ ალმოდებული სოფლიდან. გთავაზობთ ბატონ გოჩას მონათხრობს, ოღონდ შემოკლებით (სტილი დაცულია): „სოფელი იბომბებოდა. სახლში უვარდებოდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ხვრეტდნენ. შემოვარდნენ ჩემთან, ერთ ოთახში შეგვყარეს, იყვნენ რუსები, ოსები. დაიწყეს საოჯახო ნივთების შეგროვება, ძვირფასეულობას. რუსი ოფიცერი კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს გაფითრებული ათვალიერებდა, სადაც 1967-68 წლებში ჩემი ჯარში ყოფნის ამსახველი ფოტოები იყო გამოფენილი. ერთ კადრში, რომელიც ჩეხოსლოვაკიაშია გადაღებული, რუს მეგობართან ერთად ვიყავი ხელგადახვეული. მანიშნა, ეს ვინ არისო, ვუთხარი. სხვა ფოტოებიც ნახა, ალბომიც დაათვალიერა, ყველა სურათში ის ბიჭი ჩემს გვერდით იყო. განცვიფრებული ოფიცერი ხან მე მიყურებდა, ხან ფოტოებს. სახელი და გვარი მკითხა იმ ჯარისკაცისა. ვუთხარი. უცებ მიტრიალდა, თავისიანებს რაღაც ბრძანება მისცა. მერე მე მეუბნება: გამოიყვანე შენიანები, წაიღე რაც გჭირდებათ და იმ მარშუტკაში ჩაჯექითო. შიშით შევასრულე ბრძანება. თვითონ საჭესთან დაჯდა, გვერდით ორი ჯარისკაცი დაჯდა. სამშვიდობოს გამოვედით. ოფიცერმა გვერდით გამიყვანა და დარდიანი ხმით გამანდო: ფოტოზე მამაჩემია შენს გვერდით, ვიცი, ერთად გიმსახურიათ ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიაშიო, ასეთი ფოტოები ჩემს ოჯახშიც არის და მას მამაჩემი სათუთად უვლისო. ახლა კი წადით თბილისშიო. მერე ჩემი ბიჭის სახელი და გვარი ჩაიწერა და გამოგვამგზავრა. აი ასე ჩამოვაღწიეთო, წუხელ ღამე ეკლესიის (ქაშვეთის) უკან ბაღში გვეძინაო...

მოხდა ისე, რომ დევნილი ოჯახი ავტობუსში ავიდა და საბურთალოს მიმართულებით ლტოლვილთა სამინისტროში გაემგზავრა (ვიღაც ნაცნობი მამაკაცი ეხმარებოდა). დავაბარე, ერთ საათში მოვალ თქვენთან, დამელოდეთ-მეთქი. მაგრამ არა, ვერ ვიპოვე...

ეს საინტერესო ფაქტია. ადამიანობა, მეგობრობა, ძმობა არ იკარგება.

პრესაში წავიკითხე, პუშკინის ბიუსტი ავიღოთო, მოსკოვის, პეტერბურგის ქუჩები თბილისში არ უნდა იყოსო. მე, ჯორჯ ბუშის ქუჩას პეტერბურგის ქუჩა მირჩევნია. როგორ მინდა, რომ ბუშის ქუჩას ისევ მელაანის – კახეთის ამ ლამაზი სოფლის სახელი დაუბრუნდეს. მახსენდება, ამ სამიოდე წლის წინათ როგორ მოითხოვდა ერთი ახალგამოჩეკილი პოლიტიკოსი, მთაწმინდის პანთეონში გრიბოედოვის საფლავს რა უნდაო. შე დალოცვილო, იცის იმან ვინ იყო გრიბოედოვი და ვინ არის მის გვერდით დასაფლავებული.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის სტრიქონებს მოვიშველიებ მისი წიგნიდან „ნაფიქრალიდან“.

„...რაც შეეხება ჩვენს ორსაუკუნოვან ურთიერთობებს, ჩემი ღრმა რწმენით, ქართველი ერი დღეს ან აღარ იარსებებდა ფიზიკურად, ან ისლამურ სამყაროში სულის მლაფავ ტომებად იქნებოდა წარმოდგენილი მსოფლიოს ხალხთა მხოლოდღა ჩამონათვალში. ერეკლე მეორემ ზუსტად გაიანგარიშა ჩვენი და რუსეთის შეერთების ორმხრივი სარგებლობა. ჩვენ გადარჩენა გვჭირდებოდა, რუსეთს – დასავლეთის ქვეყნების აღმოსავლური კომუნიკაციების ხელში ჩაგდება თუ არა, გაკონტროლება მაინც. ისტორიამ ამ ორი მიზნიდან მხოლოდ ჩვენი მიზნის გამართლება ინება. რუსები, როგორც იტყვიან – „Остались при своих циковых интересах“. ჩვენ კი, არამცთუ სიცოცხლე შევინარჩუნეთ, არამედ რუსეთზე გავლით ევროპულ ცივილიზაციას ვეზიარეთ და ჩვენი შესაძლებლობებიც დავანახვეთ დასავლეთს“.

გორელი კაცის მონათხრობი და საინტერესო ფაქტი სრულიად საქართველოს ეხება. ხელგადახვეული მეგობრობა, სიყვარული და ერთიანობა ისევ უნდა გაგრძელდეს, ამით უპირველესად ქართველი ერი მოიგებს შავი და ფერადკანიანების დახმარების გარეშე.

**ვახტანგ მამფორია**

წიგნი

# რას მალავს საპრეზიდენტო მმართველობა?

**„პრეზიდენტის ინსტიტუტი“, – ასე ჰქვია სამართლის დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სრული პროფესორის ლალი შაიშმელაშვილის წიგნს. ნაშრომის სახელწოდება მას შემთხვევით არ აურჩევია... პრეზიდენტის ინსტიტუტი ბევრი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია.**

პრეზიდენტის ინსტიტუტის ანალიზი ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა იურიდიულ მეცნიერებაში. იგი დაახლოებით 150 ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია.

წიგნში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საპრეზიდენტო ინსტიტუტის წარმოშობის ისტორიაზე, არამედ საპრეზიდენტო არჩევნების სპეციფიკაზე, პრეზიდენტის სტატუსსა და დანიშნულებაზე პოლიტიკურ სისტემაში, პრეზიდენტის უფლებამოსილებებზე, პრეზიდენტის ურთიერთობაზე პარლამენტთან, მთავრობასთან, სასამართლო ხელისუფლებასთან...

ლალი შაიშმელაშვილის წიგნის რეცენზენტია სამართლის დოქტორი, პროფესორი **ქეთევან ქოქრაშვილი.** მისი შეფასებით, ნაშრომში მოცემულია პრეზიდენტის ინსტიტუტის შედარებით სამართლებრივი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ნაშრომში სრულყოფილადაა გაანალიზებული პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

„პრეზიდენტის ინსტიტუტი“ გამოსცა საგამომცემლო სახლმა „ტექნიკური უნივერსიტეტი“.



**ცნობისათვის: ლალი შაიშმელაშვილმა წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. იმავე წელს სწავლა განაგრძო თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე. 2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „საპრეზიდენტო რესპუბლიკა – სახელმწიფო მმართველობის ფორმა“.**

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების ძირითად კურსს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დისციპლინებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები.**

**ნატა ნიბლაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

ინფორმაცია

## გახსნეს ოთხი წლისწინანდელი დანაშაული

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2004 წლის 20 იანვარს მომხდარი ყაჩაღობა გახსნა.**

**შსს-ს ინფორმაციით, 2004 წლის 20 იანვარს თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე დამნაშავეთა ჯგუფმა დააყაჩაღა „ელიზის“ ფირმის სამი დისტრიბუტორი, დამნაშავეებმა 61 000 ლარი გაიტაცეს.**

**სამართალდამცველებმა 2008 წლის 18 ნოემბერს დააკავეს აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ბესარიონ ოთხვანი, რომლისაგანაც ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდით;**

**დაკავებულია, აგრეთვე, ილია ვიბლიანი, რომლის საცხოვრებელი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ორი ჯავშანჟილეტი, ერთი ღამის ხედვის მოწყობილობა, „გლოკის“ სისტემის პისტოლეტი ოცდათოთხმეტი ვაზნით, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდით და „ბრაუნინგის“ სისტემის იარაღი რვა ვაზნით.**

**აღნიშნულ დანაშაულიში ეჭვმიტანილია კიდევ ოთხი პირი: მევლუდ გუჯეჯიანი, რომელიც სასჯელს იხდის რუსთავის კოლონიაში, ლაშა წურწუმია, რომელიც სასჯელს იხდის საზღვარგარეთ, მამუკა კვიციანი, რომელიც 2002 წლიდან ძებნილია და 2004 წლის 27 იანვრიდან მოსკოვში იმყოფება, ასევე მამუკა გურჩიანი, რომელიც სასჯელს ნარკომანიისთვის იხდის.**

ინტერპრესნიუსი

გვწერენ

# გემუდარებით, მიშუამდგომლოთ, ბატონო პრეზიდენტო!

დაავადებული ვარ აქონდროპლაზიით, ანუ ქონდროდისტროფიით კუნთების და ძვლების თანმხლები ტკივილებით. ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე მიუარესდება. დღეს ჩემი ძვლები უკვე ლატერალურად არის გადაადგილებული. მესაჭიროება ოპერაცია ოთხივე კიდურზე. მაქვს აშშ-ის ექიმთა ასოციაციის ოფიციალური დასკვნები, რომლებიც გადაგზავნილია აშშ-ის ქ. ბალტიმორის საერთაშორისო ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში. ცენტრი პასუხისმგებლობას იღებს ოპერაციის წარმატებით ჩატარებაზე. მაგრამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამო მისი გაკეთება სხვათა დაუხმარებლად შეუძლებელია. რამდენჯერმე მივმართე სახელმწიფოს და კერძო ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს, მაგრამ უშედეგოდ.

ერთადერთ იმედად საქართველოს პრეზიდენტი მრჩება. გემუდარებით, ბატონო პრეზიდენტო, დამეხმაროთ – მიშუამდგომლოთ ჩვენი ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლებთან, რათა მათი თანადგომით გადავწყვიტო ჩემს გაუსაძლის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემა.

**თქვენი გულისხმიერების დიდი იმედით**

**ელენე ფარადაშვილი.**
II ჯგუფის ინვალიდი

ჩვენებურზე

# ეგ პოლუსები მაინც ვერ დაეტევიან თავიანთ ტყავში?..

**პლანეტის მაგნიტური პოლუსები ამოძრავდნენ და გადაადგილდებიან. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს პროცესი ადამიანებს დაუცველს ტოვებს კოსმოსური გამოსხვიების პირისპირ (ანუ დატოვებს მაგნიტური ველის გარეშე), რაც დედამიწას ერთიან ხიროსიმად გადააქცევს...**

ჩვენს გაზეთს არაერთხელ აღუნიშნავს, სად გინდა, „ქართული გორისა“ რომ არ გაერიოსო. მორიგი „გარეული“ აღმოჩნდა რუსეთის სახმელეთო ჯარების ცენტრალური სამხედრო-ტექნიკური ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ევგენი შალამბერიძე, რომელიც „არგუმენტი ი ფაქტის“ ფურცლებზე მსჯელობს ზემო მოყვანილ პრობლემაზე.

– დედამიწის გეოგრაფიული პოლუსები ძველ ადგილებზე რჩებიან, მაგნიტურებმა კი ასე 200 კილომეტრზე გადაიწიეს თითოეულმა. აი ეს ახდენს გავლენას პლანეტური მნიშვნელობის ზოგიერთ პროცესზე. დედამიწის ქერქის ნარღვევებიდან ჩვენი პლანეტა კოსმოსში ჭარბ ენერგიას გატყორცნის, ხოლო როცა ეს „გასასვლელები“ იკეტება, ნეგატიური ენერგია დედამიწაზე რჩება.

არაა გამორიცხული, რომ ბოლო წლებში კატასტროფათა რიცხვის ზრდა სწორედ მაგნიტური პოლუსების გადაადგილებით იყოს პროვოცირებული.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძე**

**კალათბურთი**

# ქართველთა მონაგარი

**მოგეხსენებათ, როგორი პოპულარობით სარგებლობს ბალტიისპირეთში, საერთოდ, და ესტონეთში, კერძოდ, კალათბურთი. მით უფრო საამაყოა ის მონაგარი, რომლითაც იქაურ კლუბებში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები გამოირჩევიან.**

შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის სახელს ყოფილ საბჭოურ სპორტში ტალინის „კალევი“ წარმოადგენდა, რომლის ჰეგემონიაც ტარტუს „როკმა“ დაამხო. სწორედ აღნიშნულ მეტოქეთა შეხვედრაში ივაჟკაცეს გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ.

ეროვნული ჩემპიონატის IV ტურის მატჩი სტუმრებმა 76:70 მოიგეს, „ჯვაროსანთა“ ლიდერებმა კი პარტნიორებს, შესაბამისად, 10 ქულა, 3 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა და 9 ქულა, 8 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა შეაწიეს.

ამ გამარჯვების შემდეგ „როკი“ კვლავაც უდანაკარგოდ უდგას სათავეში სატურნირო ცხრილს.

* * *

**წარმატებით დაასრულა უკრაინის თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური რაუნდი მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა“. დედაქალაქელებმა დონბასში 75:63 სძლიეს „დონეცკს“ და 30 დეკემბრისთვის დანიშნული საშინაო საპასუხო შეხვედრის წინ სოლიდური მარაგი შეიქმნეს.**



რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეს, იგი მძიმე ტრავმის შემდეგ თანდათან იბრუნებს ჩვეულ კონდიციებს და ამჯერად მოკრძალებული 1 მოხსნითა და 2 შედეგიანი გადაცემით დაკმაყოფილდა.

**რაგბი**

# შუქი შოტლანდიაშიც ქრება



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად შოტლანდიაში იმყოფებოდა.** პირველი ორთაბრძოლა ბორჯღალოსნებმა ქვეყნის A ნაკრებთან დიდი ანგარიშით წააგეს 3:69. მეორე პაექრობა ჩვენებს ედინბურგის კლუბების ნაკრებთან ჰქონდათ. შეხვედრის მე-20 წუთზე, როცა მასპინძლები 19:0 იგებდნენ, სტადიონზე შუქი ჩაქრა. ორგანიზატორთა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო — მატჩი ჩაიშალა.

**ქართული ჭიდაობა**

# ზუგდიდმა უმასპინძლა



**სახელოვანი ფალავნის ნესტორ ესებუას სახელობის III ტრადიციული ტურნირი ზუგდიდში გაიმართა. შეჯიბრებაში 8 რაიონის 80-მდე მოჭიდავე მონაწილეობდა.** დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ანდრია გიუნაშვილი, სოსო ქოაშვილი (ორივე — გორი), ირაკლი შანაია, ოთარ ახალაია (ორივე — ზუგდიდი), მოსოსტრი იოსელიანი (მესტია), გრიგოლ მამრიკიშვილი და დავით ბოჭორიშვილი (ორივე — ქუთაისი).

**ხელბურთი**

# ვარშავაში — საიუბილეო ტურნირზე




**წლეულს ზეიმით აღინიშნება პოლონეთის ხელბურთის ფედერაციის 90 წლისთავი. იუბილესთან დაკავშირებით ვარშავა 25 ნოემბრიდან ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იასპარეზებს.** ახალი მთავარი მწვრთნელის — ბექა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი პოლონეთში ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: მეკარეები — შოთა თევზაძე, კორნელი ანდრიაძე, გოგი ტორონჯაძე; მოედნის მოთამაშეები — ვლადიმერ რუსია, სერგო დათუკიშვილი, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, ლევან ბერძენიშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, ვანო ქარდავა, გიორგი ჩიქოვანი, რატი მსხვილიძე, გიორგი წიწნივაძე, ილია გოგალაძე, უჩა მაისურაძე, აკაკი ტალახაძე.

**„ჯვაროსანთა“ შეხვედრების განრიგი ასეთია:**
**26 ნოემბერი. ნორვეგია — საქართველო.**
**27 ნოემბერი. გერმანია — საქართველო.**
**28 ნოემბერი. პოლონეთი (II ნაკრები) — საქართველო.**

**ჩოგბურთი**

# წარმატებული სტარტი



**ქართველი ჩოგბურთელი სოფიო შაფათავა, რომელიც რეიტინგით 253-ეა, ასტანის (ყაზახეთი) საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი — 25 ათასი დოლარი) მონაწილეობს.** პირველ წრეში მან რუს მარინა მელნიკოვას (484) აჯობა. მერვედფინალში უკრაინელ ლუდმილა კიჩენოკისა და მის თანამემამულე ელიზავეტა რიბაკოვას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**ინტერნეტიდან**

## „ფორმულას“ ჩემპიონი ველოსიპედისტმა გამოიწვია



**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონი ლუის ჰემილტონი დეკემბერში „უემბლის“ სტადიონზე დაგეგმილი ტრადიციული შოუს წინ გაეჯიბრება ველოსპორტში სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კრის ჰოის.**

ორი ცნობილი სპორტსმენი ტექნიკის სხვადასხვა სახეობით ასპარეზობას — ჰემილტონის განკარგულებაში იქნება მსუბუქი „მერსედესი“, ხოლო ჰოი სარბოლი ველოსიპედით იქროლებს. შოუს ორგანიზატორები ამბობენ, რომ მათ შანსებს გაათანაბრებენ.

„მე შემიძლია, განვავითარო ორნახევარი ცხენის ძალა. და, რასაკვირველია, მას ავტომანქანის ძალას ვერ შეადარებთ, მაგრამ ძალ-ღონეს არ დავზოგავ“, — განაცხადა ველოსიპედისტმა.

შოუს განმავლობაში ჰემილტონს მოუწევს თავისი ბოლიდით საჩვენებელი რბოლის მოწყობაც. მისი განცხადებით, შოუზე გადასარევი ატმოსფერო იქნება, და ეს ფანტასტიკური წლის დიდებული დასასრულია, — განაცხადა სახელოვანმა პილოტმა.



## ურუგვაის ჩემპიონატი შეაჩერეს

**კვირას „დანუბიოსა“ და „ნასიონალის“ მატჩის დროს მომხდარი უწესრიგობების გამო შეჩერდა ურუგვაის საფეხბურთო ჩემპიონატი. ის იქამდე არ განახლდება, სანამ სტადიონებზე არ შეიქმნება უსაფრთხოების გარანტია. — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის აღმასკომმა. ეს ჟურნალისტებს აცნობა ასოციაციის თავკაცმა ლუის კორბომ.**

„რეგლამენტი ჩვენ ასეთი ზომების მიღების საშუალებას გვაძლევს, — თქვა მან, — ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, თუ როდემდე გაგრძელდება პაუზა. სერიოზულად უნდა შევისწავლოთ ყველა ასპექტი“.

ჩემპიონატის ლიდერების მატჩის ბოლოს, რომელიც მინიმალური ანგარიშით „დანუბიოს“ გამარჯვებით მთავრდებოდა, ორივე გუნდის დაახლოებით ორასი ქომაგი შევარდა მინდორზე და გრანდიოზული ხელჩართული ჩხუბი გამართა. პოლიცია მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, ჩხუბმა კულმინაციას რომ მიაღწია.

ამ დიდმა ინციდენტმა ჩინოვნიკების გააქტიურება გამოიწვია, ზოგი მათგანი მოითხოვს, რომ სტადიონებზე მხოლოდ მასპინძელი გუნდის გულშემატკივრები შეუშვან.

გასაოცარია, მაგრამ ამ მასობრივი ჩხუბის გამო მხოლოდ 4 კაცი დააკავეს და სასამართლოს გადასცეს .

## თავისი ტანით ფეხბურთელთ იზიდავს

**ამბობენ, გადასარევი ფიგურა — 90-60-92 — აქვსო იტალიური კლუბ „ნაპოლის“ ფეხბურთელის ეზეკილ ლავესის სატრფოს, არგენტინელ მოდელს ჯესიკა სირიოს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მისკენ ფეხბურთელები ილტვიან. ბოლო ხანებში მან რამდენიმე თაყვანისმცემელი გამოიცვალა.**

მისი ერთ-ერთი პირველი „ბიჭი“ სერხი აგუერო იყო, მაგრამ მათი რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა. შემდეგ ფუმფულასხეულიანი ლამაზმანის რჩეული „ბოკა ჰუნიორსის“ თავდამსხმელი როდრიგო პალასიო გახდა. მაშინ ამბობდნენ, რომ ქორწილი კარზეა მომდგარიო, მაგრამ მოდელი და ბუენოს-აირესის ღამის ცხოვრებისადმი მიძღვნილი გადაცემების „კუბიკი“ ტელეწამყვანი მასაც მალე განშორდა...



სირიოს ახლანდელი შეყვარებული ლავერია, თუმცა შეუღლებაზე ლაპარაკი ჯერ არ ისმის. სამაგიეროდ, სულ უფრო ფართოვდება საბანაო კოსტიუმების კომპანიის რეკლამა, რის აქტიური მონაწილე სწორედ ჯესიკაა, რითაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, როგორც იტალიაში, ისე თავის სამშობლოში, თუმცა მამაკაცებს ის განსაკუთრებით უკოსტიუმოდ მოსწონთ.

**კადრი**



◎ წერილი რედაქციას

# ვინ ანადგურებს ფოთის შემოგარენს?



**ამას წინათ ვათვალიერებდი ვაკანსიების ინტერნეტგვერდს www.gibs.ge და მოულოდნელად წავაწყდი ასეთ „ხალისიან“ ტექსტს:**

**„შპს რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ გეგმავს მის მფლობელობაში არსებული ხეების გაყიდვას და აცხადებს ტენდერს ტყის მასივის გაკაფვასთან დაკავშირებით ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე. სამუშაოები მოიცავს ხეების მოჭრას, ამოძირკვას და გატანას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიიდან საზღვარგარეთ. ტყის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 27.0 ჰა-ს, საიდანაც მიახლოებით 9.0 ჰა-ზე განლაგებულია ფიჭვის ხეები, ხოლო 18.0 ჰა-ზე, ევკალიპტის და სხვა ჯიშის ხეები“.**

**როგორ მოგწონთ? – „ხეების მოჭრა, ამოძირკვა, და გატანა“? კარგია, არა?**

მოგეხსენებათ ფოთის ტერიტორიაზე არსებული ტყის მასივები განეკუთვნება დაცული ტერიტორიების რიცხვს. ამ ადგილას თითოეულ ხეს (მათ შორის, ხელოვნურ ნარგავებსაცძ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ფოთი განლაგებულია ქარიან ზონაში, და შესაბამისად, მცენარეულ საფარს აქ ქარსაცავი ფუნქცია აკისრია. ასეთი ვეებერთელა ტერიტორიის „გაშიშვლება“ მოკლე ვადებში გამოიწვევს ქალაქში და მის მიმდებარე რაიონებში კლიმატის კატასტროფულ შეცვლას, კერძოდ, ქარის სიძლიერე გრიგალისებური გახდება, მოსალოდნელია ქარბორბალების წარმოქმნა, რაც ისედაც დამახასიათებელია შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის. ამის გარდა, მოხდება ზღვის ნაპირის ჩამორეცხვა და ზღვის შეჭრა ქალაქში; ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ასეთი ოდენობის ტყის მოჭრა უსათუოდ იმოქმედებს იქვე მდებარე პალიასტომის ტბის ეკოსისტემაზე (გაწყდება თევზი და რეგიონში მობინადრე ცხოველებიძ; განცხადებაში მითითებულია, რომ ტყის ამ მასივის 27 ჰექტარიდან „18 ჰა უჭირავს ევკალიპტს და სხვა ჯიშის ხეებს“. თავის დროზე, ზემოთ აღნიშნული ხის ჯიშის უდიდესი ნაწილი სპეციალურად ჩამოიტანეს და მოაშენეს ამ რეგიონში მასში საუკუნეების მანძილზე არსებული მალარიას ეპიდემიების აღსაკვეთად. რადგან ცნობილია, რომ თითოეული ევკალიპტის ხე დღე-ღამეში 400 ლიტრ წყალს შთანთქავს, ხოლო ფოთი და მთლიანობაში სამეგრელო, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნოტიო მხარეა, ბოლო 18 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე ენერგეტიკულმა კრიზისმა სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ტერიტორიებზე ხე-ტყის საფარი საგრძნობლად შეათხელა. ეს, ბუნებრივია, აისახა ევკალიპტის და წიწვოვანი ჯიშების, აგრეთვე უნიკალური წიფლის ჯიშის ხეების საერთო რაოდენობაზე. კერძოდ, ევკალიპტის და წიწვოვანების ვანდალურმა ჭრამ გამოიწვია ისედაც ჭაობიან მხარეში მოსკიტების (კოღოებისძ რაოდენობის მატება და მალარიის კერებიც გაჩნდა.

რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთი ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებაში გადმოიცა სიუჟეტი, თუ როგორ აგროვებს რაჭის ტყეებში მოსახლეობა გირჩებს უცხოური კომპანიებისათვის მისაყიდად (გირჩები გამოიყენება სათესლე მასალად!ძ, რომლებიც დაკავებულნი არიან წიწვოვანი ჯიშის ხეების დაჩქარებული ტემპით გაზრდით, როგორც საახალწლოდ, ისე დეკორატიული მიზნებისათვის (და ეკოსისტემაში მათი ასიმილაციის მიზნითძ. ამასთან, რაჭის მოსახლეობა გროშებს ღებულობს საკმაოდ მძიმე შრომით მოპოვებულ ნედლეულში და თანაც გაუცნობიერებლად საკმაო ზიანს აყენებს ტყეს, რადგან ძირს ჩამოვარდნილი გირჩა ვერ ასრულებს ტყის ბუნებრივი რეგენერაციისათვის აუცილებელი სათესლე მასალის ფუნქციას.

იმაში, რომ საქართველოში შესაძლებელია შესაბამისი საშუალებებით აღჭურვილი რეგიონული სანერგე მეურნეობების შექმნა ალბათ ეჭვი არავის ეპარება. ასეთი მეურნეობების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ნედლეულის საქართველოში დარჩენას



და დაჩქარებული წესით მისგან ჯანსაღი მცენარეების მიღებას, რომლებმიც შემდგომ გადატანილ იქნება ტყის მასივებში მათი განახლების ან ხელახალი ჩამოყალიბების მიზნით (ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი და ა. შ.ძ, აგრეთვე ლეგალურს გახდიდა საახალწლოდ ნაძვის ხეებით ვაჭრობას ბუნებისათვის ზიანის მიუყენებლად. ჩვენში საახალწლოდ იყიდება უცხოეთიდან შემოტანილი წიწვოვანი ჯიშის ხეები, რომლებიც ძალზე ძვირია, მაშინ, როდესაც შესაძლებელია საქართველომ თვითონ მოახდინოს საახალწლოდ წიწვოვანი ჯიშების ექსპორტირება კონკურენტუნარიან ფასებში. რატომ უნდა იხეიროს ჭკვიანმა უცხოელმა და ქართული გირჩისგან გაზრდილი ხე ისევ ჩვენ მოგვყიდოს?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართეთ საქართველოს ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებსა და პასუხისმგებელ უწყებებს. პასუხი ყველგან სტანდარტული და საოცრად გულგრილი და ინდიფერენციული იყო: აღნიშნული ტერიტორია გაყიდულია, იგი ეკუთვნის კერძო კომპანიას, რომელსაც უფლება აქვს ნებისმიერი სახის ოპერაციები აწარმოოს თავის ტერიტორიაზე (?!ძ.

ჩვენ კი მართებულად მიგვაჩნია საკითხის ამგვარი დასმა: „თუკი აღნიშნული კომპანია მოისურვებს ამ ტერიტორიაზე, მაგალითად, ატომური აფეთქების ან სხვა კატასტროფული შედეგების მქონე ოპერაციის მოწყობას, უნდა მიეცეს თუ არა მას ამის ნება? არა! არამც და არამც! კეთილი ინებოს ჩვენმა ხელისუფლებამ და უკან გამოისყიდოს ეს ტერიტორია, რათა არ განხორციელდეს ხსენებული ვანდალური აქცია.

**გულბათ ტორაძე**

**P. S. როგორც შევიტყვეთ, ზემოხსენებულმა მზაკვრულმა გეგმამ ქ. ფოთის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.**

**გ. ტ.**

გახსენება

# ოთარ გვარამაძე

შვილო, ოთარ აი ახლა, ნაშუაღამევს, მინდა შენი სული შევაწუხო, დაგელაპარაკო, გაგანდო ჩემი უბედური გულისტკივილი.

იმ ქვეყნად შენმა წასვლამ სიმშვიდე დამაკარგვინა, ძილზე ფიქრიც ხომ ზედმეტია. ვნატრობ, დამესიზმრო, დაგინახო, მოგეფერო, გულში ჩაგიკრა. განა რა დავაშავე ისეთი, რომ ღმერთმა ამის უფლებაც კი წამართვა?

უზომოდ დაუმსახურებლად ვარ დასჯილი, მარტო ღმერთმა კი არა, შენც დაუმსახურებლად მომაყენე ამხელა ტკივილი. შენ მაინც ხომ კარგად იცი, მე არა ვარ ის ქალი, შემართებით და მთელი ძალით რომ უტევს ცხოვრებას.

უკვე წლების სიმრავლემ შემაწუხა, ვგრძნობ, როგორ მოკლდება შენთან მოსასვლელი დღეები. შენი სურათისაკენ გამირბის თვალი, მაგრამ გგონია, გხედავ?! არა! თვალს ვერ ვუსწორებ – გარშემო მტვერსლა შემოვწმინდავ და ამით ვამთავრებ ყველაფერს. მერე გულის გასამხნევებლად გავდივარ ახლომდებარე ბაღში, იქ მრავლად არიან ჩემსავით უბედური დედები. ისინი ჩემს თვალში მხნედ გამოიყურებიან. მეც მათ ვბაძავ და ამ გაურკვეველ ყოფით ცხოვრებაში ვცდილობ, განვვლო დღენი დარჩენილი ჩემი.

მამაშენი – უბედური ბედნიერი! დიახ... უბედური ბედნიერი! უბედური იმიტომ, რომ სიცოცხლით გაუმაძღარს ადრე მოუსწრო სიკვდილმა, ბედნიერი კი იმიტომ, რომ ვერ მოესწრო შენი სახით თავის ცისფერთვალა 39 წლის ქარიშხალა ბიჭის უდროოდ გარდაცვალებას.

დიდი, ძალიან დიდი ტანჯვა მომაყენეთ შვილო.

განა რა დიდი ძალა და ენერგია დაინახეთ ჩემში, რომ ამხელა პასუხისმგებლობა დამაკისრეთ, ორივემ მე დამამარხვინეთ თავი. ნუთუ ერთხელ მაინც თქვენს სიცოცხლეში გიფიქრიათ, მე ვინ უნდა დამმარხოს! ვისი იმედით დამტოვეთ?!

შენი უბედური დედა
**ნინო გვარამაძე**

უახლოესი მეგობრები მაია, გურამ ახალაიები, მარინა, გია მახარაძეები, ლენა, თემურ კვარაცხელიები, ნანა, მანანა კეკელიძეები, მანანა, გოდერძი ბუკიები, ნანი, ზურაბ ერქვანიები, ნინიკო, ბეჟან კვალიაშვილები, ფერიდე, ანტონ ინგოროყვები, მანანა, რეზო სალუქვაძეები, დიანა, თენგიზ ჩიხლაძეები, თამრიკო, ია ურუშაძეები, ჟუკა ცეცხლაძე, ლია ტყებუჩავა, მარინა მიქაძე, ლეილა, გივი ბარამიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ თემურ და მანანა ხარებავებს ძმაზე და მის ოჯახზე მოამაგე, საფიცარი დისა და უკეთილშობილესი მულის, უსათნოესი პიროვნების

**დოდო ხარებავა-გიორგაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, გრამიტო კვარაცხელია, გიორგი ნაჭყეპია, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ანდრო ზოდელავა, ზურაბ გოგოხია, ბიჭიკო ჯანჯღავა, ანზორ ქუჩულორია, მურმან ნაჭყეპია, გივი სოსელია, ზურაბ გოგოხია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე ქირია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ ინსტიტუტის თანამშრომელს ნინო გერლიანს გარდაეცვალა მეუღლე

**შამილ გერლიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ქვა – აღმართში

# პატიმრის ოჯახის ხარჯზე?!

**ბიუჯეტის შევსების ყველა მეთოდი რომ მოსინჯა და მისთვის სასურველი შედეგი მაინც ვერ მიიღო, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ახალ წყაროდ პატიმრები გამოეყენებინა. ამის გამო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დამატებითი სასჯელის სახით დადგინდა ჯარიმის გადახდა.**

### რატომ დაამატეს სასჯელის სახით ჯარიმა

**სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახეები იყო ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაოები, სამხედრო პირისათვის სამსახურებრივი შეზღუდვა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა, ქონების ჩამორთმევა. მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით მსჯავრდებულს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს უფარდებდა. დამატებითი სასჯელის შემოღებით მოსამართლე გასამართლებულს თავისუფლების აღკვეთასთან ერთად გადასახდელად საკმაოდ სოლიდურ თანხას აკისრებს.**

წინათ ჯარიმის რაოდენობა 500 ლარს არ აღემატებოდა. ახალი ცვლილებებით დამატებითი ჯარიმა დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე.

კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსი იმპერატიულად არ მოითხოვს დამატებითი სასჯელის დანიშვნას. მაგრამ ის დასაშვებად თვლის, რომ სასამართლომ ამასთან დაკავშირებით იმსჯელოს და განაჩენი მოსამართლემ საკუთარი რწმენით გამოიტანოს.

ადვოკატები, იურისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასამართლო, როგორც პროკურატურის დანამატი და მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის რეკომენდაციების ჩარჩოში მოქცეული (სავალდებულოა კუბლაშვილის რეკომენდაციების ყველა მოსამართლისთვის მაგიდის წიგნს წარმოადგენდესძ რწმენის მიხედვით, თითქმის არასოდეს ღებულობს გადაწყვეტილებებს. ის არც კანონით გათვალისწინებული მსჯავრდებულის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ინტერესდება, მოსამართლე ვალდებულია ზემდგომების მითითებები ბრმად შეასრულოს.

იხ. 12 გვ.

## არბიტრაჟის უწყება
## საქმე №138-2008

**ცეზარ ოსაძეს, მცხოვრებს თბილისი, გოგებაშვილის №5, საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი 2008 წლის 28 ნოემბერს, 15.30 საათზე, მისამართზე თბილისი, ტაშკენტის ქ. №27, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო მაია ნიკოლაძის და ცეზარ ოსაძის მიმართ, თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

ქვა — აღმართში

# პატიმრის ოჯახის ხარჯზე?!

(მეთერთმეტე გვერდიდან)

სპეციალისტების განმარტებით, ვთქვათ მოსამართლემ საკუთარი „რწმენით“ დანაშაულის სიმძიმე ათი ათასი ლარით განსაზღვრა. ამ დროს კი უკვე პატიმარი გადახდისუუნაროა. თანხის გადახდა ოჯახს ეკისრება, პროფესიონალები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მსჯავრდებულის ოჯახის მდგომარეობას — ციხეში საკვებიდან, საცვლებიდან დაწყებული, მედიკამენტებით დამთავრებული ტუსაღების უზრუნველყოფა ოჯახებს, ახლობლებს უწევთ. ამას ემატება სოლიდური გადასახდელი თანხა.

მსჯავრდებულისათვის დადებულ სასჯელს, მისი და ოჯახის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მოსამართლე მიღებულ გადაწყვეტილებას უგზავნის აღმასრულებლებს. ისინი მიდიან დაჯარიმებულის ოჯახში და აღწერენ ყოველ ნივთს. ამის შემდეგ ხდება ჯარიმის საფასური ქონების იძულებით ამოღება. თუ ქონება დაკისრებულ თანხას ვერ ავსებს, შესაძლო მსჯავრდებულის ოჯახს სახლი გაუყიდონ და საერთოდ ქუჩაში დატოვონ.

ადვოკატების გადმოცემით, მსგავსი დამატებითი სასჯელების მიღება მოსამართლეებისგან ყოველდღიურ რეალობად იქცა. იურისტების განმარტებით, პატიმართათვის მისი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დამატებით ფულადი ჯარიმის დაკისრება არღვევს ადამიანთა უფლებებს. ეს ევროკონვენციის უხეში დარღვევაა, რომელსაც მიერთებულია ჩვენი ქვეყანაც. ყოველივეს კი ერთი დანიშნულება აქვს — ნებისმიერი გზით შეივსოს ბიუჯეტი, — აცხადებენ სპეციალისტები.

ევროკონვენციის კიდევ ერთ დარღვევად მიაჩნიათ ექსპერტებს, დამატებითი ჯარიმის წესის არასრულწლოვანებზე გავრცელება. მოსამართლემ მშვენივრად იცის, რომ სასჯელით გათვალისწინებულის გადახდა მოზარდს არ შეუძლია. ე. ი. „შეწერილი“ თანხა მშობლებმა, მეურვეებმა ან მზრუნველებმა უნდა გადაიხადონ და ისიც ბიუჯეტის სასარგებლოდ. სპეციალისტები თვლიან, რომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს დანაშაულის გამო და სასჯელი არ უნდა ვრცელდებოდეს მსჯავრდებულის ოჯახის დანარჩენ წევრებზე.

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## კახეთში ისე კარგად ცხოვრობენ, გამგებლის გვარიც არ იციან

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის მისი რაიონის გამგებელი.

კვლევისას კარდაკარ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიონებში 928 რესპონდენტი გამოიკითხა.

გამოკითხვა ჩატარდა რაიონული ცენტრების გარეთ, ქალაქის გარეუბნებსა და რამდენიმე სოფელში. დასმული იყო ერთი შეკითხვა: „იცით თუ არა ვინ არის თქვენი რაიონის გამგებელი?“

ჯი-ეიჩ-ენი

## მომავალ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა საყურადღებოდ!

ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობს

იმ მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა საკვირაო სკოლაში მიღება, რომელთაც სურთ 2009-2010 სასწავლო წლისათვის მისაღები გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხონ

ამ უნივერსიტეტის

საფინანსო-საბანკო და დაზღვევის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციის, სამართალმცოდნეობის, ტურიზმისა და ჯანდაცვის ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, ჟურნალისტიკის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის და ინფორმატიკის სპეციალობების სტუდენტებად.

საკვირაო (წინასწარ მოსამზადებელ) სკოლაში (რომელსაც ექნება თავისი განყოფილებები, გარდა თბილისისა, ქალაქებში: რუსთავში, სენაკში, მცხეთაში, საგარეჯოში და სხვა ქალაქებში მოთხოვნის შესაბამისად) სწავლება დაიწყება 2009 წლის 1 მარტს და დამთავრდება 2009 წლის 1 ივლისს. ამ სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიაში დამაკმაყოფილებელი და მეტი შეფასებანი, საშუალო განათლების ატესტატისა და I კურსზე სწავლის საფასურის (1500 ლარის) 25 პროცენტის (375 ლარის) წინასწარ გადახდის ქვითარი წარმოდგენილი, გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხებიან მათთვის სასურველი სპეციალობის სტუდენტებად.

საკვირაო სკოლაში ჩარიცხვის სურვილის მქონემ რექტორატის სამდივნოს უნდა წარუდგინოს: განცხადება რექტორის სახელზე, ცნობა მეთორმეტე კლასში სწავლის თაობაზე, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი (3X4-ზე), 375 ლარის გადახდის ქვითარი (ეს თანხა ავანსია I კურსზე სწავლის საფასურის წინასწარ გადახდისა), იგი აბიტურიენტს (სტუდენტს) ამ უნივერსიტეტში სწავლების გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში არ დაუბრუნდება (არ მიეცემა).

უნივერსიტეტში, იმათთვის, ვისაც ბაკალავრიატის დიპლომის მიღება სურთ, სწავლება ოთხწლიანია, ხოლო ვისაც მაგისტრანტისა ექვსწლიანი.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის რექტორატში. საკონტაქტო მისამართია: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №45, VI სართული, რექტორატის სამდივნო.

უნივერსიტეტის რექტორატი

თითქოს დღეს დაეწეროს

## სხვათა შორის... პუშკინის ზოგიერთ ქართველ მოძულეს

სხვათა შორის, გენიალურ რუს პოეტს ალექსანდრ პუშკინს მრავალთა შორის, ერთი უუმწარესი ეპიგრამაც აქვს, რომელიც ქართველთათვის არცთუ უცნობ მმართველს მიხეილ ვორონცოვს მიუძღვნა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ეს უკანასკნელი კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნებოდა. აი ისიც:

Полу – милорд, полу купец,
Полу – мудрец, полу невежда;
Полу – подлец, но есть надежда,
Что станет полным наконец.

გთავაზობთ ჩემს „მძლე“ თარგმანს:

ნახევრად — ლორდი და ნახევრად ვაჭარი,
ნახევრად — ბრძენი და ნახევრად — უმეცარი,
ნახევრად — სალახანაც, თან იმის დონეც არი,
მთლიანი რომ გახდეს, იმადაც მზად არი.

დღევანდელ ქართულ რეალობაში შესანიშნავი ფონია შექმნილი, რათა ამ ეპიგრამის ადრესატად მიხეილ სემიონოვიჩთან ერთად ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარიც ვიგულისხმოთ.

**გიზო ზარნაძე**

ინფორმაცია

## წითელ ჯვარს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ალექსანდრა მანესკუს ამ თანამდებობაზე არიან დე რობინი ჩაენაცვლა.**

აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი გუშინ, აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. პრემიერ-მინისტრთან ალექსანდრე ანქვაბთან და ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან გამართავს შეხვედრას.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს არიან დე რობინს საერთაშორისო წითელი ჯვრის სუდანსა და მიამში (ბირმაში) მოქმედ ორგანიზაციებში აქვს მუშაობის გამოცდილება.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

რკინიგზის სადგურის ნაპოვნი ნივთების ბიუროში ტიპი მივიდა:

— მატარებელში სპირტიანი ბოთლი დამრჩა. შემთხვევით თქვენთან ხომ არ მოუტანიათ?



— ბოთლი არა, მაგრამ ის კაცი მოიტანეს, ვინც იგი იპოვა.

* * *

ორი ბიჭუნა აივნიდან ხალხს აფურთხებდა. ერთი ბიჭუნა ბოროტი იყო, მეორე — კეთილი. ბოროტმა სამ კაცს დააფურთხა, კეთილმა — ხუთს.

მორალი. კეთილი მუდამ იმარჯვებს ბოროტზე!!!

* * *

პატარა მიხო სამზარეულოდან ძალიან აღელვებული გამოდის.

— რა მოხდა, შვილო? — ეკითხება მამა.

— შენს ცოლთან მომიხდა ახლახან ჩხუბი! — ცხვირის ქშუტუნით ამბობს მიხო.

* * *

კარდიოლოგმა ავტოსერვისში მანქანა შეაკეთებინა.

— უფროსო, — მეც მოტორს ვარემონტებ და შენც, ოღონდ კაცისას, — ეუბნება ხელოსანი. ჰოდა, შენ რად გიხდიან ჩემზე ოთხჯერ მეტს.

კარდიოლოგი მიდის მანქანასთან, ძრავას აამუშავებს და ხელოსანს ეუბნება:

— აბა, სინჯე და ეს ამუშავებული ძრავი შეაკეთე!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.